სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 22 ივლისი 2006 №167 (2789) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვთ, აკვანი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბ დაერხა ქართულ ფეხბურთს

ერთ კვირაში საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, მაგრამ როგორ და რამდენ-რამდენი გუნდით უმაღლეს და პირველ ლიგებში?

ფოთის „კოლხეთის“ პრეზიდენტი მერაბ ასანიძე „სარბიელთან“ ამბობს, გუნდი უფულობის გამო უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებსო.

დაფინანსების მხრივ გაურკვევლობაა უმაღლესი ლიგის კიდევ რამდენიმე გუნდში, ხოლო სამმა პირველლიგელმა უკვე შემოთვალა, უსახსრობის გამო ვერ ვითამაშებთო.

ვინ დაიკავებს „კოლხეთის“ ადგილს უმაღლეს ლიგაში და საერთოდ, რამდენგუნდიანი იქნება უმაღლესი ლიგა — საკითხი უკვე მომწიფებულია, მაგრამ არა გადაწყვეტილი, ჩემპიონატის დაწყებამდე კი ერთი კვირა დარჩა...

ქართველი ბოკვერი გერმანულ ლომებში

მათე ღვინიანიძე მიუნხენში დაღვინდება

მათე ღვინიანიძემ „მიუნხენ 1860“-თან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მხოლოდ ეს? როგორც ჩანს, ჩვენიანი „ლომების“ მწვრთნელ ვალტერ შახნერს ძირითადი შემადგენლობისთვის ჰ ყავს შეგულებული — მათემ გუშინ სეზონისწინა ტესტ-მატჩში სრულად ითამაშა თურქულ „ტრაბზონსპორთან“, რომელშიც მისმა გუნდმა 0:2 წააგო.

თავსხმა წვიმაში მიმდინარე შეხვედრაში შახნერმა თითქმის ყველა ფეხბურთელი გამოცვალა, ღვინიანიძე კი 90 წუთი მინდორზე იყო.

მოკლედ, 19 წლის მათემ მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლებიდან გერმანულ მეორე ბუნდესლიგაში, თანაც საკმაოდ დიდი ტრადიციების გუნდში გადაინაცვლა — „მიუნხენ 1860“-ს სხვა მიზანი არც გააჩნია: ბუნდესლიგაში გადასვლა.

ორ-სამ უმაღლესლიგელს კითხვის ნიშანი უწერია

სამი უარი და ვაკანსია პირველ ლიგაში

საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატი 29 ივლისს დაიწყება, თუმცა საბოლოოდ ვინ ითამაშებს უმაღლეს და პირველ ლიგებში, ჯერაც არაა გადაწყვეტილი. სამმა გუნდმა უკვე უარი განაცხადა პირველ ლიგაში თამაშზე, ხოლო უმაღლესში ორი-სამი გუნდის სვე-ბედია გასარკვევი

ბაბალე ფეფლიანაშვილს ეოტი

ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფესიული ფეხბურთის ლიგამ სარევიზიო კომისია შექმნეს, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მზადყოფნა უნდა შეემოწმებინა. პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ ლორთქიფანიძე ამ კომისიის ერთ-ერთი წევრია. მას პირველ რიგში იმაზე დავეკითხეთ, თუ რა ვითარებაა უმაღლესი ლიგის გუნდებში.

— იმ გუნდებში, რომელთაც, ტრადიციულად, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აქვთ, ყველაფერი ნორმალურადაა. რაც შეეხება „ბათუმს", მას დიდი ბიუჯეტი არ ექნება, მაგრამ იმის საფრთხე არ არსებობს, რომ ამ გუნდმა უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშოს. „ბათუმი" ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტდება. კარგად ვერა აქვს საქმე ფოთის „კოლხეთს". ფოთელებმა დასტური კი მოგვცეს, რომ უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ, მაგრამ „კოლხეთს" ფინანსური გარანტიები ჯერ არ აქვს. ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა და „კოლხეთს" იმის გარანტიაც არ აქვს, რომ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის 30-ათასლარიან საწევროს გადაიხდის. მანამდე კი „კოლხეთი" ვარჯიშობს, იქაც ადგილობრივმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. ფოთელებს მოედანიც მოვლილი აქვთ. თუმცა, თუ გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე არ შემოიტანს საწევროს, ის ჩემპიონატში არ დაიშვება. ამასთან დაკავშირებით პროფლიგა არანაირ კომპრომისზე არ წავა და თუ კომპრომისი მაინც იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი დაუშვებს — გვითხრა ლორთქიფანიძემ.

და როგორია ვითარება სხვა გუნდებში? ვის არა აქვს საწევრო 30 000 ლარი?

— ჯერ არც ერთ გუნდს არ უთქვამს, საწევროს ვერ გადავიხდითო. საწევროსგან მხოლოდ „ცხინვალია" გათავისუფლებული, შარშან ასეთი გადასახადისგან გათავისუფლებული იყო „სოხუმიც" და თუ რატომ გაკეთდა ეს, ალბათ ყველა ხვდებით. მაგრამ მხოლოდ საწევროს გადახდა ვერ აგვარებს ფინანსურ პრობლემებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ცხინვალს" ნორმალური დაფინანსება ექნება. ამ დროისთვის კი უფულობა უმაღლესი ლიგის ორსამ გუნდს აწუხებს — გვამცნო პროფლიგის გენმდივანმა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ამ ორ-სამ გუნდში „კოლხეთი", „ცხინვალი" და „დილა" იგულისხმა.

ლორთქიფანიძემ ისიც გვითხრა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდები ფეხბურთელთა განაცხადებს პროფლიგაში 24 ივლისიდან შემოიტანენ და მათ განაცხადებთან ერთად ამ დოკუმენტებსაც მოვთხოვთ, თუ საიდან ფინანსდებიან ესენი. განაცხადები გუნდებმა ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა წარმოადგინონ.

ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე რომ დაგაპატიმრეს, ადრეც გაუწყეთ, ხოლო პროფლიგაში ის ვიკითხეთ, ამასთან დაკავშირებით რა ვითარებაა „ტორპედოში".

— ქუთაისელებს არ დაუჩივლიათ, საწევროს ვერ გადავიხდით და გუნდის ელემენტარულად შენახვისთვის ფული არ გვაქვსო — განგვიმარტა ლორთქიფანიძემ.

ასეთია ზოგადი ვითარება თექვსმეტგუნდა უმაღლეს ლიგაში და პროფლიგის გენმდივნისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ფინანსურ შეჭირვებაში არიან ისინიც, ვისაც თვრამეტგუნდა პირველ ლიგაში უნდა ეთამაშათ.

— სამი ოფიციალური უარი მივიღეთ — ომც, „ზუგდიდი" და „სოხუმი" პირველი ლიგაში ვერ ითამაშებენ, ასეთი ვითარებაა ამ დროისთვის, თუმც არ არის გამორიცხული, რომ ამ გუნდებისთვის სასიკეთოდ შეიცვალოს სიტუაცია, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, პირველ ლიგაში სპორტული პრინციპით დავამატებთ გუნდებს — ან წინა სეზონში პირველი ლიგიდან გავარდნილებს, ან რეგიონული ლიგიდან — გვამცნო ლორთქიფანიძემ.

დავით თამგართაძილაძე

და აკვანი ქართულ ფეხბურთს სად დაერხა...

პრეზიდენტი პრეზიდენტებს ეტყვის: კოლხეთი უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს

ქალაქი, საიდანაც შემოვიდა ფეხბურთი საქართველოში, ფაქტობრივად, უფეხბურთოდ რჩება

ფოთის „კოლხეთის" გასაჭირზე გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენმდივანს რომ ვესაუბრეთ, შემდეგ „კოლხეთის" პრეზიდენტ მერაბ ასანიძესაც დავუკავშირდით და შევიტყვეთ, რომ ფოთელთა უმაღლეს ლიგაში თამაში, თუ რამ სასწაული არ მოხდა, გამორიცხულია.

— 25 ივლისს უმაღლესი ლიგის გუნდების პრეზიდენტების შეხვედრაზე ყველაფერს წერტილს დავუსვამ — ოფიციალურად გამ-ოვაცხადებ, რომ „კოლხეთი" ტო-ვებს უმაღლეს ლიგას — გვითხრა ასანიძემ.

— ნუთუ არაფრის და არავის იმედი აღარ შეგრჩათ?

— ყველა ინსტანცია მოვიარეთ, ჩვენი პრობლემის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტსაც მივაწვდინეთ ხმა, მეგონა, რომ გამოჩნდებოდა დაფინანსება „კოლხეთისთვის", მაგრამ ასე არ მოხდა.,

— მცირე თანხასაც არავინ გამოდის, მაგალითად, ფოთის მერია?

— ფოთის მერია დაგვპირდა, 2007 წლის ბიუჯეტში „კოლხეთის" დასაფინანსებლად 200 000 ლარს გამოვყოფთო, მაგრამ როგორ გავიტანოთ თავი გაისამდე? თანაც, „კოლხეთმა" უმაღლეს ლიგაში რომ ითამაშოს, სულ მცირე, 650 000 ლარი სჭირდება.

დავით თამგართაძილაძე

რუსეთი

პრემიერლიგა
XIII ტური

სპარტაკი (მ) 1:1 სატურნი

სლოვაკეთი

პირველი ლიგა
II ტური

სინეცი 4:1 კოშიცე

ევროკავშირი ფატრიბი

ვერდერი (გერმანია) 2:0 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი)
რეალი (ესპანეთი) 1:0 პლიმუთი (ინგლისი)
მიუნხენი (გერმანია) 0:2 ტრაბზონსფორი (თურქეთი)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 0:1 რენი (საფრანგეთი)
ნანტი (საფრანგეთი) 3:0 სენტ ეტიენი (საფრანგეთი)
იოვილი (ინგლისი) 0:2 პორტსმუთი (ინგლისი)
მესინა (იტალია) — მონაკო (საფრანგეთი) გადაიდო

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. I ტური
ბელინცონა 2:1 კიასო
იუვენტუსი 1:1 ლოზანა

ირლანდია

პრემიერდივიზიონი. XVII ტური
შელბურნი 6:0 დუბლინი
დროჰედა — დერი გადაიდო

შკრანია

უმაღლესი ლიგა. I ტური
დინამო 4:1 ჩერნომორეცი

დინამო ყირიმში: უბრაზილიელებო თბილისელები სომხებს შეუამხანაგდნენ



სიმფეროპოლში მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ დატვირთვები შეამსუბუქა და აქამდელი სამჯერადი ვარჯიშები მწვრთნელმა კახა კაჭარავამ ორჯერადით ჩაანაცვლა.

— ჩემპიონატის დასაწყისი ახლოვდება და შესაბამისად ფიზიკურმა დატვირთვებმაც იკლო, ფეხბურთელები ახლა სათანადო კონდიციებში არიან და იმედი მაქვს, 29 ივლისს „ბორჯომთან“ მატჩს კარგ ფორმაში შევხვდებით — თქვა „დინამოს“ თავკაცმა.

დღეს „დინამო“ სიმფეროპოლში მესამე ამხანაგურ მატჩს გამართავს, მეტოქე ისევ არმიანსკის „ტიტანი“ იქნება, რომელსაც თბილისელები ერთი კვირის წინ გაეჯიბრნენ და 1:1 ითამაშეს. 24 ივლისს კი ჩვენები „ილიჩევეცის“ სათადარიგო გუნდს შეხვდებიან და მეორე დღეს შინ დაბრუნდებიან. თბილისელებს ყირიმული შეკრების ბოლო ორი მატჩი უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესლიგელებთან ჰქონდათ დაგეგმილი, მათ შორის ერთი ადგილობრივ „ტავრიასთან“, მაგრამ გუშინ უკრაინაში ჩემპიონატი დაიწყო და გუნდებსაც ამხანაგური მატჩებისთვის აღარ სცხელათ.

და კიდევ: „დინამო“ სიმფეროპოლში სამ ბრაზილიელ ფეხბურთელს ელოდა, მაგრამ მათი ჩასვლა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, გაურკვეველი ვადით გადაიდო და თბილისელები შინ იმავე ფეხბურთელებით დაბრუნდებიან, როგორი შემადგენლობითაც სიმფეროპოლში გაემგზავრნენ. ახალი უცხოელი კი „დინამოს“ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ჰყავს — ბრაზილიელი ტიაგო, რომელიც ბოლოს „ბათუმში“ თამაშობდა.

ლუკა თალაკვაძე

ოლიმპი ქუთაისით მოიგრიგოლეთებს

რუსთავის „ოლიმპი“ გრიგოლეთში შეკრებას აგრძელებს და ნოდარ აკობიას გუნდმა ორი საკონტროლო შეხვედრაც გამართა — ჯერ ფოთში 3:0 მოუგო „კოლხეთს“, მერე კი საჩხერის „ჩიხურასთან“ 0:0 ითამაშა. კოლხებთან დუბლი მიითვალა ვლადიმერ დვალიშვილმა, ერთი გოლი კი გიორგი თოდუამ გაიტანა.

„გრიგოლეთიდან ერთ-ორ დღეში წამოვალთ და გზად ქუთაისში შევჩერდებით, სადაც 23 ივლისს „ტორპედოს“ შევხვდებით. კარგად ვემზადებით, ჩემპიონატს ნორმალურ ფორმაში შევხვდებით. რაც შეეხება მიზნებს, ხუთეული რეალური მგონია“ — გვითხრა ნოდარ აკობიამ.

„ოლიმპს“ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე უკვე ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ შეიძენს ახლებს? აკობიამ გვითხრა, დიდი-დიდი, ერთი ან ორი მოთამაშელა დავიმატოთ, ძირითადი ბირთვი უკვე დაკომპლექტებულიაო.

„ყველა რგოლში თანაბრად ვართ დაბალანსებულები, ასე რომ, განსაკუთრებულად სუსტი ხაზი არ გვყავს. სამწუხაროდ, რევაზ გეწაძე სერიოზულადაა დაშავებული, ხოლო ლევან გვაზავას საკითხი ჯერ გაურკვეველია“.

ილია ნანობაშვილი

რეკლამა
სარბიელ-ში
ტელ: 38-11-14,
877 54 55 00

2 აგვისტო: მინგე — ხეტაფე

ეროვნულის მსგავსად, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც 16 აგვისტოს ეწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი — რალფ მინგეს გუნდი ლიტველ თანატოლებს ეთამაშება.

საამმატჩოდ ქართველ ახალგაზრდებს არცთუ ბევრი სპარინგ-მატჩი უგროვდებოდათ და 2 აგვისტოსთვის გამოინახა მეტოქე: ამ დღეს მინგეს ბიჭები გერმანიის ქალაქ ბიტბურგში ესპანეთის პრიმერადივიზიონელ „ხეტაფეს“ ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

ქართველი ახალგაზრდები 2 აგვისტომდე სამიოთხი დღით ადრე შეიკრიბებიან — პირდაპირ ავსტრიაში ჩავლენ თუ ჯერ თბილისში მოემზადებიან, ეს უცნობია. ბუნებრივია, „ხეტაფესთან“ თამაშის შემდეგ ფეხბურთელები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან და 16-ისთვის ხელახლა შეიკრიბებიან.

ილია ნანობაშვილი

დავიდ — 34

მარცვალაძე და იმედაშვილი დინამომ უეფაში გააგზავნა

კიევის „დინამომ“, რომელმაც გუშინ ოდესის „ჩერნომორეცთან“ მატჩით დაიწყო უკრაინის ჩემპიონატი, გუშინვე უეფაში იმ ფეხბურთელთა განაცხადი გააგზავნა, რომლებსაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლატვიურ „მეტალურგსთან“ ათამაშებს.

კიეველთა თავკაცის ანატოლი დემიანენკოს სიაში 22 ფეხბურთელია და მათ შორის ორი ქართველი: ნომერი 22 — ოთარ მარცვალაძე და ნომერი 34 — დავით იმედაშვილი. „დინამოს“ შემადგენლობაში ვერ მოხვდა კახა ალადაშვილი, ვინც ძირითად გუნდში უთამაშებლობის გამო სხვაგან გადასვლას ეშურება.

ლუკა თალაკვაძე

კიევმა ექვსის ნაცვლად სამი ქართველი ნახა, კახა მჭავანაძემ — პირველი წითელი

გუშინ უკრაინის ჩემპიონატი კიევის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მატჩით დაიწყო... მომავალ კვირაში კიეველებს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა ელით და ამიტომაც ითამაშეს სხვა გუნდებზე ორი დღით ადრე. სხვათა შორის, „ჩერნომორეცი“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს და შესაძლოა, კენჭისყრამ რომელიმე ქართულ გუნდსაც გადაჰყაროს.

„დინამო“ — „ჩერნომორეცის“ მატჩი კი ჩვენთვის ამ გუნდებში ქართველების სიმრავლითაა საინტერესო. გუშინ კიევის „დინამოს“ სტადიონზე შესაძლო იყო ერთბაშად ექვს ჩვენიანს ეთამაშა — იმედაშვილს, მარცვალაძესა და ალადაშვილს მასპინძელთაგან; კანდელაკს, მჭავანაძესა და შაშიაშვილს ოდესელთაგან. ითამაშა კი სულ სამმა, სამივე „ჩერნომორეცის“ ძირითადში იყო. მარცვალაძე ტრავმირებულია, ხოლო იმედაშვილი და ალადაშვილი მწვრთნელებმა გუშინწინ დუბლების შეხვედრაში ათამაშეს.

კიევის „დინამომ“ 4:1 მოიგო და პირველი სამი ქულაც მიითვალა უკრაინის ჩემპიონატში; პირველი მატჩი ჩაატარა ამ სეზონის დაწყებამდე „ჩერნომორეცში“ გადასულმა გიორგი შაშიაშვილმა და ამ ჩემპიონატში პირველი ფეხბურთელიც გუშინ გააძევეს — სამწუხაროდ, ეს უიღბლო კახა მჭავანაძე გამოდგა. ჩვენიანი 38-ე წუთზე ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ მჭავანაძემ ჩინებული პასი გააკეთა, რასაც კუთხური და ოდესელთა საპასუხო გოლი მოჰყვა. ტაიმის ბოლო წუთზე კი კახამ კიეველთა ბრაზილიელი კორეა მაისურაზე დაქაჩა და არბიტრმაც არ დააყოვნა — ჯერ ისევ ყვითელი, შემდეგ წითელი უჩვენა.

ასეთი გამოდგა ყველაზე ქართველმრავალი უკრაინელი გუნდების ეს მატჩი.

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (ალმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

კახა კალაძე: ხომ გითხარით, არ გაგვაგდებენ-მეთქი...

კალჩოპოლის სკანდალიდან ყველაზე მსუბუქად გამომძვრალი „მილანი“ მილანელოს ბაზაზე გუშინწინ შეიკრიბა და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. მოსამართლეების ვერდიქტი გეცოდინებათ: „მილანი“ ახალ ჩემპიონატს მინუს 15 ქულით დაიწყებს. წინა სეზონში დაგროვილი ქულებიდან კი 44 ჩამოეჭრა, რამაც მილანელებს წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა დააკარგვინა. თუმცა, გარემოებათა გამო კახა კალაძის გუნდს უეფას თასზე თამაში მაინც შეუძლია. რა ხდება ახლა „მილანში“ და როგორ შეხვდნენ კლუბში იტალიურ ფეხბურთში ამ არნახული სკანდალის შედეგებს? — ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ პირველი ვარჯიშის შემდეგ კახა კალაძეს...

იტალია და მილანი ორშაბათს ელიან

— როცა ეს სკანდალი აგორდა, თუ გახსოვთ, მაშინაც ვთქვი, რომ „მილანი“ „იუვენტუსს“, „ლაციოს“ და „ფიორენტინას“ შორის ამ საქმეში ყველაზე სუფთაა და სერია B-ში დაქვეითება ჩვენ არ გვემუქრება-მეთქი. როგორ და რატომ ატყდა იტალიურ ფეხბურთში ასეთი ამბავი, ვერ გეტყვით, კლუბების ხელმძღვანელებმა და მოსამართლეებმა ეს უკეთ იციან, თუმცა რაკი საქმე ამაზე მიდგა, „მილანის“ ფეხბურთელები დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ არაფერი შეგვეხებოდა.

— კი მაგრამ, მინუს 15 ქულა თქვენი ასანაზღაურებელი არ არის?

— სხვა გუნდებთან შედარებით „მილანის“ ამგვარი სასჯელი მოსატანი არც არის. მინუს 15 ქულა „მილანისთვის“ დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, დანაკლისს ალბათ მალევე ავანაზღაურებთ და ისევე ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა, ცხადია, მიზნის მიღწევა ახლა უფრო რთული იქნება.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უმთავრეს კანდიდატად ამ ვითარებაში ვის მიიჩნევ?

— „ინტერს“ და „რომას“, თუმცა, როცა გრანდები დასჯილები არიან, სიურპრიზები გამორიცხული არ არის. ადრინდელისგან განსხვავებით სხვა გუნდებს ახლა ჩემპიონობის მეტი შანსი ექნებათ.

— ამას წინათ ითქვა, „მილანს“ შესაძლოა უეფას თასზე მონაწილეობის უფლებაც ჩამოართვანო...

— ეს და სხვა ამბებიც ჯერ კიდევ გასარკვევია. სასამართლოს გადაწყვეტილება დღესდღეობით საბოლოო არ არის და ყველაფერი 24 ივლისს გადაწყდება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „იუვენტუსს“, „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“, იქნებ „მილანსაც“, სასჯელები შეუმსუბუქონ. აქ, იტალიაში ახლა ორშაბათსა და ახალ სასამართლოს ელიან, ბოლო სიტყვას სწორედ 24-ში იტყვიან.

— ამ სკანდალში, უკვე დასჯილი გუნდების გარდა, სხვებიც არიან გარეულებიო, ითქვა, შეიძლება, „რეჯინა“, „მესინა“, „ლეჩე“ და „სიენაც“ დაისაჯონონ...

— ამ გუნდების საქმესაც დაწვრილებით შეისწავლიან და თუ დანაშაული დაუმტკიცდათ, მათაც, მგონი, 24 ივლისს დასჯიან.

— „მილანის“ შემადგენლობაში ახალი რა არის?

— ახალი არაფერი. დღეს ბაზაზე სულ 15 ფეხბურთელი ვიყავით, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ეროვნულ გუნდებში იყო გამოძახებული, მათ შვებულება გაუგრძელეს. ისინი მოგვიანებით შემოგვიერთდებიან. შევჩენკოს გარდა კი გუნდიდან რუი კოშტა და სტამი წავიდნენ.

— სიტყვამ მოიტანა და, მსოფლიოს ჩემპიონატი, შენი აზრით, ლოგიკურად მორჩა?

— რა თქმა უნდა, უძლიერესმა გაიმარჯვა. მიმაჩნია, რომ წლეულს ყველაზე კარგი გუნდი სწორედ იტალიას ჰყავდა და დამსახურებულადაც მოიგო.

— „მილანი“ ახალ ფეხბურთელებს არ იმატებს?

— ჯერჯერობით გუნდში ახალი და სახელოვანი არავინაა, თუმცა ამბავი დამხვდა, როცა გუნდი შეიკრიბება, ძამბროტა და ბუფონიც შემოგვიერთდებიანო...

— აკი ძამბროტა „ბარსელონაში“ გადავიდაო?

— როგორც ვიცი, ესპანელებთან მას კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, „მილანის“ ხელმძღვანელობა კი მას და ბუფონს ყოველდღე ელაპარაკება და მგონია, ეს ტრანსფერები საჩვენოდ უნდა დასრულდეს.

— შეკრებაზე სად მიდიხართ?

— არსად, „მილანი“ უცხოეთში მხოლოდ სხვადასხვა ტურნირებზე სათამაშოდ მიდის. ამჯერად კი არანაირი ტურნირი არ იგეგმება და ახალი სეზონისთვისაც მილანელოში მოვემზადებით.

კობა ინასარიძე

იცი, სად მიდიხარ?

ვან გაალმა ზოთა გააფრთხილა

გადავა 33 წლის ზოთა არველაძე ჰოლანდიური „ალკმაარიდან“ ესპანურ „ლევანტეში“? ამის გადაწყვეტას არა და არ დაადგა საშველი და, თუ რა ხდება ამ შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით, თვითონ არველაძეს ვკითხეთ

— ერთი დღეა, რაც ამის თაობაზე არავისთან მისაუბრია. ბოლოს „ლევანტეს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დამირეკა და ხანმოკლე საუბრის შემდეგ ვთხოვე, დანარჩენზე ჩემს აგენტ ივან ბენეშთან ელაპარაკა.

— „ლევანტეს“ მწვრთნელ ლოპეს კარასთან ხომ არ გილაპარაკია?

— არა.

— არც „ალკმაარის“ თავკაც ლუის ვან გაალთან?

— ვან გაალს ველაპარაკე და მითხრა, არ მინდა, „ალკმაარიდან რომ წახვიდეო. ისიც მითხრა, „ლევანტე“ პრიმერადივიზიონში ალბათ კონტრშეტევებზე ააგებს თამაშს და ამაზე უნდა დაფიქრდე, რადგან შენ სულ სხვანაირი ფეხბურთელი ხარო.

— „ლევანტეს“ გარდა, სხვა გუნდებიდანაც ხომ არ გაქვს შემოთავაზებები?

— ჩემამდე სხვა შემოთავაზება ჯერ არ მოსულა.

— „ლევანტეში“ შენი წასვლა-არწასვლა ყველაზე უფრო ალბათ ფინანსურ ფაქტორზეა დამოკიდებული...

— არა მხოლოდ, გადაწყვეტილების მიღებისას სხვა ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინო.

— სხვა ფაქტორი ის არ არის, რომ პრიმერადივიზიონი ერთ-ერთი ელიტარული ლიგაა მსოფლიოში? სახელიან გუნდებში კი გითამაშია, მაგრამ ელიტარულ ლიგაში — არასდროს...

— ელიტარულ ლიგაში თამაში ძალიან მინდა, მაგრამ გუნდიც კარგი უნდა იყოს. არ მსურს, ისე მოხდეს, რომ ელიტარულ ლიგაში წავიდე და სხვის თამაშს ვუყურო.

— „ალკმაარი“ და „ლევანტე“ უკვე მოლაპარაკებულები არიან შენს სატრანსფერო თანხაზე?

— არ ვიცი, მე მხოლოდ ის ინფორმაცია მაქვს, რომ „ლევანტემ“ ჩემში „ალკმაარს“ ორი მილიონი ევრო შესთავაზა.

— როცა 2001 წელს „აიაქსიდან“ „რეინჯერსში“ გადახვედი, აიბროქსელებს რა დაუჯდათ ის ტრანსფერი?

— 12,5 მილიონი გულდენი, რაც დაახლოებით 3,5 მილიონი გირვანქაა.

— „ლევანტეში“ ტრანსფერის საკითხი დაახლოებით როდის გადაწყდება?

— ჯერ ესეც არ ვიცი.

დავით თავართქილაძე

ილია გაგუნაშვილი

ფესტივალი, კარნავალი, წარმავალი...

რამდენი თითი ჩავკეცოთ: მართლა ფეხბურთი ერთი, მართლა ფეხბურთი ორი...

როგორ იწყება ასეთი წერილები? — დასრულდა მსოფლიოს მე-18 ჩემპიონატი და დატოვა კითხვა: რით გავმდიდრდით 9 ივნისიდან 9 ივლისამდე? რა მოგვცა ამ ერთმა თვემ და იმ სამოცდაოთხმა მატჩმა, ამ თვის მანძილზე რომ ჩატარდა გერმანიის სტადიონებზე? რა შეიძინა მსოფლიო ფეხბურთმა მის მთავარ გამოფენა-გაყიდვაზე? — და ასე შემდეგ...

კარგი დასაწყისია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომი პერიოდისთვის შესაფერისი. შესაძლოა, ვინმე შეგვედავოს და თქვას, რომ მას მერე, რაც სატელევიზიო ტექნოლოგიები განვითარდა, „მსოფლიო დაპატარავდა“ და ყველას, ქართველს, ნიგერიელს თუ ფილიპინელს, საშუალება აქვს, თუგინდ სერია **B**-სა და ინგლისის თასის ადრეული ეტაპის პირდაპირ ტრანსლაციას უცქიროს, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზე სიახლის გამოტანა შეუძლებელი გახდა, რადგან ყველაფერი ახალი ისედაც ცნობილია — მაგრამ, ვფიქრობთ, გერმანიაში ნანახმა მაინც დატოვა უცნობი შეგრძნება. მოდი, ამ შეგრძნებაში გარკვევა ვცადოთ.

უპირველეს ყოვლისა, გთავაზობთ, საკუთარ ემოციებს და სინამდვილეს ნუ ავურევთ ერთმანეთში. მაგალითად, თუ ჩვენ ბრაზილიური ფეხბურთი მოგვწონს, ამ ქვეყნის ნაკრები კი მეოთხედფინალში გავარდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე-18 მუნდიალზე ყველაფერი ცუდად იყო; ან თუ ჩვენ თბილისში მოქმედ რომელიმე ფანკლუბში გავწევრიანდით და საუცხოო დრო ვატარეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი იყო კარგად. ის, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა — ფანკლუბების და ლუდის რეკლამების ჩათვლით — ცალკე საუბრის თემაა, აქ კი მხოლოდ ფეხბურთზე გვინდა ვთქვათ, თუმცა... თუმცა, ნება მოგვეცით, ქომაგთა ზეიმის საკითხსაც შევეხოთ: ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ამ ბოლო დროს მსოფლიოს ჩემპიონატებს უფრო ფესტივალის სახე ეძლევა, ვიდრე ძველებური „ჯიბრიანი“ ტურნირის? რამე ხომ არ გვეშლება — ვგონებთ, სადსად და, გერმანიაში მესამე ადგილზე გასვლის გამო ადრე არასდროს მოწყობილა საერთოეროვნული დღესასწაული. ადრე გერმანიისთვის მესამე ადგილი დამარცხებას ნიშნავდა, წლეულს კი მთელი ქვეყანა ქუჩაში გამოვიდა და ზეცას ქუდები სტყორცნა. არგენტინელებიც რაღაც უღიმღამოდ წავიდნენ სახლში. გავარდნიდან რამდენიმე დღეში ლეო მესიმ რომელიღაც პლაჟიდან შემოთვალა, განცდა უკვე დავამთავრე, ახლა ვისვენებ და „ბარსელონაზე“ ვფიქრობო. დიდი ხანია, წაგების გამო აღარც რიო დე ჟანეიროში უვარდებიან მანქანებს, ერთი ეგ იყო, რონალდინიოს ქანდაკება დაწვეს — ძალიან გთხოვთ, ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ვინმეს მანქანის ბორბლებში ჩახტომისკენ მოვუწოდებდეთ. მოკლედ, ჩვენ წინაშეა ახალი ეპოქა, სადაც მაყურებელი ფესტივალს აწყობს, ფეხბურთელები კი მარცხდებიან და პლაჟებისკენ მიეშურებიან, რათა თავიანთ კლუბებს დასვენებულები დაუბრუნდნენ — თუ არ ვცდებით, ამას მსოფლიო ფეხბურთის კომერციალიზაცია უნდა ერქვას.

დიახ, ფესტივალი უპირველეს ყოვლისა კომერციაა და მეტი არაფერი — ნუ ჩამოგვათვლევინებთ ფულის რამდენი წყარო მოჩქეფს ამ დროს ორგანიზატორთა, სპონსორთა და სხვა ჯიბეებისკენ — კომერციაა ისიც, მოთამაშე მყისვე თავის საკლუბო საქმეებზე რომ ერთვება და რონალდინიოს ქანდაკებაც უფრო კომერციის მსხვერპლი უნდა იყოს — „დინიო“ „ბარსაში“ ბრწყინავს, ბრაზილიაში კი ვერ იყოჩაღა.

ამ ჩემპიონატზე არ მომხდარა, მაგრამ იმავე კონტექსტიდან არის — 1998 წელს ინგლისმა არგენტინასთან რომ წააგო, გაირკვა, რომ ალან შირერს და მის მეუღლეს ადრიდანვე ჰქონიათ მეორე დღეს ჰავაისკენ თუ საღღაც ეგეთი ადგილისკენ მიმავალ თვითმფრინავზე ბილეთები დაჯავშნული.

გაუმართლათ!

მოკლედ, ფესტივალი ყოველ მომდევნო ჩემპიონატზე იფართოებს მასშტაბებს, ორი-სამი მუნდიალის მერე კი განელი, ღმერთმა ქნას, ქართველი და ბრაზილიელი ქომაგები შედეგის მიუხედავად ერთნაირად და ერთად იზეიმებენ, ამასთან, დაილევა გაცილებით მეტი ლუდი, „კოკა“, „პეპსი“, გაიყიდება სარეკორდო რაოდენობის კრეკერი და სხვა.

კარგია ეს?

ვიღაც იტყვის, რომ მანქანის ქვეშ ჩავარდნას სჯობს და მართალიც იქნება.

გაუმარჯოს ფესტივალს!

თუმცა, არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ ჩემპიონატზე გამოიკვეთა. „ბებერ“ ქომაგებს ვეკითხებით: რამდენ მატჩში ნახეთ მაღალი ხარისხის ფეხბურთი? დავაზუსტოთ: ჩვენ არ გეკითხებით, რამდენ მატჩში ისეირეთ, რადგან სეირით სრულებით შესაძლებელია საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაშიც გასეიროს რამდენიმე კერძოდ აღებულმა თამაშმა. ჩვენ გეკითხებით, მაღალი ხარისხის ფეხბურთი რამდენ შეხვედრაში იყო? მოდი, ჩვენ ორს გეტყვით, საფრანგეთი — ბრაზილია და იტალია — გერმანია, დანარჩენი კი თქვენ დაამატეთ.

ნუ, ფინალი... ოღონდ, ნერვული თამაში იყო და, ალბათ, ამან ცოტა გააფუჭა. კიდევ?

და სანამ თქვენ მაღალი ხარისხის თამაშებს თვლით, ჩვენ ასეთ ვერსიას შემოგთავაზებთ: მოგეხსენებათ, ფეხბურთის მთელ დედამიწაზე თანაბრად განვითარების მიზნით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მონაწილე გუნდების რაოდენობა ფიფამ 32-მდე გაზარდა. შედეგად, მუნდიალებზე გამრავლდა ეკვადორ — პარაგვაის ტიპის მატჩები, მაშინ, როდესაც ადრე, მუნდიალებზე 24 და სულაც 16 გუნდი რომ გამოდიოდა, მეტი წილი, ბუნებრივია, ბრაზილია — იტალიის ტიპის შეხვედრები გახლდათ. ამას შეუძლებელია, მსოფლიოს ჩემპიონატების თამაშთა ხარისხზე დაღი არ დაეჩნია, მით უფრო, რომ ის ბრაზილია — იტალიაც გარანტირებულად კარგი თამაში სულაც ვერ იქნება. მოკლედ, მთელ დედამიწაზე მუნდიალებისადმი მოთხოვნა ძველებური დარჩა — გვინდა დიდი ფეხბურთი — რეალურად კი ნაკლებად ხარისხიანი ფეხბურთის რიცხვმა იმატა.

და კიდევ ერთი, რაც ამ ხარისხის თემას ხაზს უსვამს და სხვანაირად გამოაჩენს — ევროპაში არსებობს საკლუბო შეჯიბრება, ჩემპიონთა ლიგა, რომელშიც მონაწილეობენ კლუბები მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებით და რომლის სტრუქტურაც ისეთია, რომ გულშემატკივარი ყოველწლიურად, სექტემბრიდან მაისამდე „ბარსელონა“ — „მილანის“ ტიპის თამაშებს უყურებს.

და რა გამოდის? გამოდის, რომ „ბარსელონა“ — „მილანების“ შემდეგ, ოთხ წელიწადში ერთხელ მოუთმენლად ველით შეჯიბრებას, სადაც ძველი ინერციით კიდევ უფრო დიდი მატჩები გვეგულება, მაგრამ... მასობრივად ეს შეუძელებელი უნდა იყოს.

ამ ეტაპზე მაინც...

სილვიო ბერლუსკონი: არავინ არსად არ მიდის

„მილანი" ახალ სეზონში ახალი ფორმით ითამაშებს

იტალიური „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, რომ მისი გუნდი სკუდეტოსთვის იბრძოლებს. „კარლიტოს" არ აშინებს ის ფაქტი, რომ „როსონერი" მინუს 15 ქულით ითამაშებს. თუმცა აპელაციისაც ეიმედება, ეგებ სასჯელი სულ თუ არ მოგვიხსნეს, შეგვიმსუბუქონ მაინცო.

„ჩვენ სერია A-ს მოგება გვინდა. ყოველთვის ეს მიზანი გვქონდა და მომავალი სეზონი გამონაკლისი არ იქნება. თუ მინუს 15 ქულით დავიწყებთ, ეს დამატებით სტიმულს მოგვცემს, უფრო მობილიზებულნი ვიქნებით და ბოლომდე საბრძოლველად განვეწყობით" — განაცხადა ანჩელოტიმ.

მოგეხსენებათ, ბოლო წლებში მილანელთა უდავო ლიდერმა ანდრეი შევჩენკომ „ჩელსის" მიაშურა. თუმცა ანჩელოტი კატასტროფას არც ამაში ხედავს. მას ძველ ფეხბურთელებთან ერთად, ახალწვეულებისაც ეიმედება. განსაკუთრებით, „რენიდან" ნაყიდი პესპექტიული ფრანგი შემტევი ნახევარმცველის იოან გურკუფის.

„რამდენიმე ახალი მოთამაშე დავიმატეთ, რაც გუნდს გააძლიერებს და გადაახალისებს, მე კი საშუალება მომეცემა, ახალი ტაქტიკური სქემები გამოვცადო. თანაც სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა და, შესაძლოა, ვინმე დავიმატოთ. შევჩენკო მართლაც დიდი ძალა იყო, მაგრამ ალბერტო ჯილარდინო და ფილიპო ინძაგი გვყავს. იმედია, პასკუალე ფოჯაც გამოავლენს შესაძლებლობებს. იოან გურკუფსაც ძალუძს შეტევაში გვარიანად დაგვეხმაროს. იგი ძალიან ნიჭიერი, ტექნიკური და დინამიკურია" — დასძინა ანჩელოტიმ.

„მილანის" გენერალური დირექტორი არიედო ბრაიდა: „მომავალი სეზონისთვის მზად ვართ. აგვისტოს ბოლომდე საკმაო დროა და ანჩელოტი ახალ მოთამაშეებს თუ კიდევ ინდომებს, ყველანაირად ვეცდებით, თხოვნა შევუსრულოთ."

ერთ-ერთი ასეთი ახალი ფეხბურთელი შეიძლება, ჯანლუიჯი ბუფონი გამოდგეს. მართალია, ბოლო დღეებში არაერთხელ ითქვა, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო, მაგრამ შანსი ჯერ კიდევ ყოფილა. კერძოდ, თუ „მილანი" 25 მილიონ ევროს გადაიხდის, „იუვენტუსი", ალბათ, ულაპარაკოდ დაყაბულდება ამ ტრანსფერს, თავად კი ლივორნოელი მარკო ამელიას ხელში ჩაგდებას შეეცდება.

„როსონერის" ამჟამინდელი ძირითადი მეკარე ნელსონ დიდა კი, როგორც ჩანს, არსად წასვლას არ აპირებს. მისით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „კორინთიანსი" [illegible] დაინტერესებულნი.

„თუ „მილანი" [illegible] ეს მისი პრობლემაა. [illegible] ცოტა, კიდევ ერთი წელი „სან სიროზე" რჩება" — თქვა ბრაზილიელის აგენტმა ოსკარ დამიანიმ.

ამასობაში მილანელებს ახალგაზრდა უკრაინელ ფორვარდ არტიომ მილევსკისთვის დაუგდამთ თვალი. მან მუნდიალზე ცოტა ხანი, მაგრამ შთამბეჭდავად ითამაშა. სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, კიევის „დინამო" მზად არის, 21 წლის ფეხბურთელს შეელიოს, რომელთანაც კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

არგენტინელ ფორვარდ ერნან კრესპოს ისევ „მილანში" დაბრუნება უნდა და, ალბათ, ასეც მოხდება თუ „ჩელსის" კონტრაქტის გაწყვეტაზე დაიყოლიებს. კრესპოს აგენტი ფერნანდო იდალგო მალე კლუბის უფროსობას შეხვდება და შეეცდება, ისინი დაარწმუნოს, რომ შეთანხმების გაუქმება და განშორება ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება. „ჩელსი", ამ შემთხვევაში, კრესპოს ორი წლის ხელფასს, 18 მილიონ ევროს დაზოგავს.

დაბოლოს, „მილანის" პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის მოვუსმინოთ: „კლუბის კეთილდღეობისთვის ყველანაირად ვიბრძოლებ. ხალხმა კარგად უნდა გაიაზროს, რამხელა დარტყმა და ზარალი მიაყენეს „მილანს". მიუხედავად ამისა, ჩვენ უმაღლესი მიზნებისთვის თამაშს გავაგრძელებთ და წამყვანი მოთამაშეები გუნდს არ დატოვებენ".

გიორგი ქაქაბაძე

კაკას ენა მამამ იცის

მწვრთნელი ფაბიო კაპელო, ნახევარმცველი ემერსონი, მცველი ფაბიო კანავარო — ხალხი, რომელთა შეძენაც „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ინჩასებს არჩევნებისას აღუთქვა, უკვე „სანტიაგო ბერნაბეუზეა". თუმც სენიორ პრეზიდენტი არც თავის მთავარ დანაპირებს, „მილანიდან" ბრაზილიელი კაკას ჩაყვანას ივიწყებს. როგორც „ასი" იუწყება, „რეალის" სპორტულ დირექტორ მიატოვიჩს უკვე გაუფორმებია წინასწარი ხელშეკრულება კაკას მამასთან და ოფიციალურ წარმომადგენელთან ბოსკო ლეიტესთან. მადრიდელები ფეხბურთელს შვიდსეზონიან კონტრაქტს სთავაზობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გარიგების შემთხვევაში ბრაზილიელი ესპანურ გრანდში 30 წლამდე ითამაშებს. ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტი „რეალთან" სერხიო რამოსს აკავშირებს — სევილიელი „ბერნაბეუსთან" 8 სეზონითაა გადაჯაჭვული... კაკა კი თითოეულ სეზონში 10 მილიონ ევროს მიიღებს, აქედან ექვსი ჯამაგირია, ოთხი — სარეკლამო შემოსავალი.

„რეალი" მზადაა, „მილანს" ბრაზილიელის სანაცვლოდ 51-დან 56 მილიონ ევრომდე გადაუხადოს. ეს მადრიდული ჯიბის ყველაზე დიდი დაცლა იქნება ზიდანის ტრანსფერის შემდეგ — თავის დროზე „იუვენტუსმა" ზიზუში სამეფო თეთრებიდან 75 მილიონი დოლარი მიიღო.

იტალიაში კი კაკას პირინეებზე შესაძლო გადასვლას სასტიკად უარყოფენ. თუმცა მარტო ოფიციალური, „მილანის" მხარეა უარზე, ხოლო კაკას მამა და მისი მეგობრები აცხადებენ, რომ ფეხბურთელს ერთი სული აქვს, სანამ „ბერნაბეუზე" ძველ ძმაბიჭებს, რობინიოს, რონალდოსა და ემერსონს დაუდგება გვერდით...

„რეალმა", კერძოდ, მაშინ ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატმა კალდერონმა და მისმა მარჯვენა ხელმა პრედრაგ მიატოვიჩმა, კაკას მაისის ბოლოს მიაკითხეს. ესპანური მედიის ცნობით, მობურთალს ჯერ კიდევ მაშინ უთქვამს, გაისად მადრიდში მოვიდვარო... კალდერონიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხალხს „მილანის" ვარსკვლავის ყიდვას შეჰპირდა.

თავად კაკას (ამასაც ესპანური გაზეთები ამტკიცებენ), თურმე ძალიან უნდა კაპელოს ხელმძღვანელობით იმუშაოს. „კაკა კაპელოს დისციპლინისა და მუშაობის მკაცრი სტილის თაყვანისმცემელია" — წერს მადრიდული „ასი". პრედრაგ მიატოვიჩს კი ინტერვიუში უკვე უთქვამს, დიდი შესაძლებლობაა იმისა, რომ ბრაზილიელი ავსტრიულ ირდნინგში მყოფ კაპელოს გუნდს უკვე 27 ივლისს შეუერთდესო.

ლადო ხომერიკი

ტრეზეგესთვის ლიონი სამშობლოა, რეალი ცოლი, ინტერი ტურინი

ტურინის „იუვენტუსის" ვარსკვლავები რამდენიმედღიან მონაკვეთში სხვადასხვა კლუბებში რომ გაიკრიფნენ, თავადაც მოგეხსენებათ. ლიდერებიდან „დელე ალპის" სულ რამდენიმე შემორჩა. ამბობენ, ალესანდრო დელ პიერო და პაველ ნედვედი არსად აღარ წავლენო. ახლა კი მათ რიცხვს ეგებ დავიდ ტრეზეგეც მიემატოს, რომლის აგენტი, პატრიცია პიგინი, არ გამორიცხავს, რომ მისმა კლიენტმა სერია B-ში ითამაშოს.

„დავიდის მომავალზე კლუბთან ერთად ვილაპარაკებთ. ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. ტრეზეგე სერია B-ში სათამაშოდაც მზად არის და ახლა ყველაფერი „იუვენტუსზეა" დამოკიდებული. თუ ტურინელები მის გაყიდვას გადაწყვეტენ და სარფიან წინადადებას მიიღებენ, ამაზე მერე ვიმსჯელებთ" — აღნიშნა პიგინიმ.

ტრეზეგეს ბევრი კლუბი უტრიალებს, მათ შორის „ლიონი", „რეალი" და „ინტერი". პიგინიმ კი ერთი ვარიანტიც არ გამორიცხა, თუმცა ამბობენ, „იუვენტუსს" ფრანგის შენარჩუნება უნდაო. იგი 125 გოლით ტურინელთა ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა შორის მეშვიდეა.

პატრიცია პიგინი: „ლიონში" გადასვლა დავიდს სამშობლოში დაბრუნებს, არც „რეალია" გამორიცხული, მისი ცოლი წარმოშობით ესპანელია. თანაც მადრიდელებს ახლა ფაბიო კაპელო თავკაცობს. „ინტერი"? ამ შემთხვევაში, იგი ტურინთან ახლოს იქნება, სადაც დაბინავებულია. რაც შეეხება ტრეზეგეს რომელიმე კლუბში განათხოვრებას, ეს გამორიცხულია".

გიორგი ქაქაბაძე



ჩიხუახუა და შიშვლები სახურავზე

ალექსანდრა ბურთიასი: ჟუნინიომ გადააწოდა ფრეის, ფრეიმ რონალდინიოს

ბოლო დრომდე რონალდინიო ფულის ფლანგვაში არ შეუმჩნევიათ, თუმცა ცოტა ხნის წინ ფეხბურთელი ფრანგ მოდელ ალექსანდრა პარესანს გადაეყარა და... ვინც კი რონის ადრე იცნობდა, ყველა ამტკიცებს, კიჭა ნამდვილად გამოგვიცვალესო. წყვილმა სან პაულუში უიკ ენდი ისე გაატარა, პრაქტიკულად, საყიდლებზე სიარული არ შეუწყვეტიათ.

პაპარაცების თვალის ასახვევად კიჭა და მისი ეშხიანი ალექსანდრა ვერტმფრენით ჩაფრინდნენ სან პაულუში. ქალაქში „ლექსუსით“ დაქროდნენ და **DOLCE GABANA**-ს, **CAVALLI**-სა და **ARMANI**-ს ბუტიკებიც ააწიოკეს ფულუხვი იერიშებით. ამ მაღაზიებში რონალდინიომ 160 ათასი ევრო დატოვა, შემდეგ კი, ჯერ კიდევ მუნდიალის წინ შეკვეთილ „ფერარიში“ 250 ათასი ევრო გადაიხადა. მერე იყო ბარი, „[illegible]შქრობა“ რესტორანში და სასტუმროს ძვირადღირებული ნომრები თავად რონისა და მისი სტუმრებისთვის. ცხადია, ეს ყველაფერი კიჭას იაფი არ დაუჯდა. სტუმრებში კი რონალდო და მისი გელფრენდი რაიკა ოლივეირაც იყვნენ.

შემდეგ რონალდინიომ კიდევ 20 ათასი ევრო გადაიხადა, რათა მთელი ავტოსადგომი დაეჯავშნა. მოკლედ, ლამაზ ცხოვრებაში თავით ფეხებამდე ჩაფლულმა ფეხბურთელმა ორი დღის განმავლობაში ნახევარი მილიონი ევრო დაფანტა სან პაულუში.

„ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ამბობენ, რომ შეყვარებულ მამაკაცები საკუთარ თავზე კონტროლს კარგავენ. ეს მართალი ყოფილა“ — განაცხადა რონალდინიომ **TV GLOBO**-სთვის მოცემულ ინტერვიუში.

მართლაც, თუ ბრაზილიურ გაზეთებს დავუჯერებთ, რონი და თვითკონტროლი მწყრალად უნდა იყვნენ ერთმანეთთან... მარტო ფეხბურთელის ვილაზე მოწყობილი გიგანტური ფიესტა რად ღირს, სადაც ალექსანდრამ და რაიკა ოლივეირამ, კოქტეილებით შემთვრალებმა სახურავზე შიშვლებმა იცეკვეს... თან, არ დაგავიწყდეთ, ეს ყველაფერი მუნდიალზე ბრაზილიის გამოვარდნიდან სულ რამდენიმე დღეში ხდება...

რონალდინიოს ალექსანდრასთან დაკავშირებული ჯერჯერობით ბოლო სიგიჟე პარიზში, ლამაზმანის ძაღლის ჩამოსაყვანად კერძო თვითმფრინავის გაგზავნა იყო — ჩემი ჩიხუახუას გარეშე მოწყენილი ვარო, ჩიოდა თურმე ფრანგი გოგო.

ალექსანდრა 26 წლისაა და მოდელობასთან ერთად მსახიობობს კიდევაც — ცოტა ხნის წინ „ასტერიქსის და ობელიქსის“ მესამე ნაწილში როლი მიუციათ. ფრანგული პრესა კიდევ, კიჭამდე მის საყვარლებს ითვლის — ბარტეზი, დიუგარი, ჟუნინიო, ალექსანდრ ფრეი... „არავისთან ისე კარგად არ მიგრძვნია თავი, როგორც რონისთან, მან ჩემი გული საბოლოოდ მოიგო“ — ამბობს გალი ტურფა. მართალია, ბრაზილიელმა მუნდიალზე წააგო, მაგრამ... ნახეთ, ალექსანდრასთან როგორ გაუმარჯვია...

ლადო ხომერიკი

კაპელო ავსტრიაში დაიჭირეს

ფაბიო კაპელომ ყოფილი იუვენტუსელი შეგირდები, ფაბიო კანავარო და ემერსონი დაიბრუნა. „რეალშია“ ასევე მისი რომაელი მოწაფე ანტონიო კასანოც, ხოლო ცოტა ხანში „ბერნაბეუზე“ შეიძლება დონ ფაბიოსთან მუშაობის მოსურნე მილანელი კაკაც გადაბარგდეს... „ასის“ ჟურნალისტმა იტალიელ მწვრთნელს ავსტრიაში ჩააკითხეს, სადაც „რეალი“ ემზადება.

— კლუბში კანავაროს და ემერსონის მოსვლაზე რას გვეტყვით?

— ისინი ძალიან საჭირო ფეხბურთელები არიან ჩვენთვის. ორივე გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნე ოსტატია.

— რითი შეიძლება ისინი „რეალს“ დაეხმარონ?

— უპირველეს ყოვლისა, გამოცდილებით და ასევე მაღალი კლასით. თანამედროვე ფეხბურთში ეს ორი რამ ძალიან მნიშვნელოვანია. კანავაროც და ემერსონიც ბრძოლისუნარიანები არიან, ხოლო მათი ასაკი არ მაწუხებს. თუ მოედანზე მაგარი ხარ, შეგიძლია, კარიერა 35 წლამდე არ შეწყვიტო.

— „რეალს“ ძამბროტას შეძენაც უნდოდა, თუმცა იტალიის ნაკრების მცველმა „ბარსელონა“ აირჩია. ამან თქვენი გეგმები ძალიან დააზარალა?

— არა. ძამბროტა ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ ხომ რობერტო კარლოსი გვყავს.

— ანუ ეს ნიშნავს, რომ რობერტო სხვა გუნდში არ გადადის?

— კარლოსი ამ საკითხზე ჩემთან და სპორტულ დირექტორ მატოვიჩთან აპირებს შეხვედრას. არ ვიჩქარებთ, მთავარი საქმე უკვე გაკეთებულია — ფეხბურთელები ვიყიდეთ დაცვისა და შუა ხაზის გასაძლიერებლად.

— ვან ნისტელროი?

— ნისტელროისთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

— ჰოლანდიელში „ბაიერნი“ გეცილებათ...

— „ბაიერნი“? მაგარი ფეხბურთელების ყიდვა ყველას უნდა, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც თავად მოთამაშეზეა.

— „რეალის“ უფროსობა იმ ტრანსფერებს ახორციელებს, რაც თქვენ სთხოვეთ?

— სწორედ ასეა. 5 ფეხბურთელის ყიდვა გვქონდა გადაწყვეტილი და აქედან ორი უკვე მოვიყვანეთ გუნდში.

— კაკასაც შეიძენთ?

— ვნახოთ. ახლა ამაზე მეტის თქმა არ შემიძლია.

— გუნდის მზადებაზე რას გვეტყვით?

— სერიოზულად ვმუშაობთ. ფეხბურთელებისთვის ვარჯიში ადვილი არაა, თუმცა საქმე მაინც კარგად მიდის.

— ალბათ, გერჩივნათ, რონალდო ავსტრიაში თქვენთან ერთად ყოფილიყო...

— რონის ვარჯიში არ შეუძლია. „რეალის“ ექიმ დელ კორალთან შევთანხმდით, რომ რონალდო, რომელმაც რიოში წვივზე ოპერაცია გაიკეთა, ორი კვირით ბრაზილიაში დარჩება და მერე დაბრუნდება მადრიდში.

— „რეალ B“-ს ფეხბურთელებზე რას ფიქრობთ?

— კარგი მოთამაშეები არიან. ძირითად გუნდში აუცილებლად გადმოვიყვან ვინმეს.

— ანტონიო კასანოს რაზე ესაუბრეთ?

— არაფერზე. მინდა, რომ იგი ის ფეხბურთელი იყოს, რომელსაც ადრე ვიცნობდი. ეს კი ძველი კასანო არ არის. როცა „რომაში“ ჩემთან იყო, გაცილებით უკეთესი გახლდათ.

— უკვე გადაწყვიტეთ, „რეალიდან“ ვის დაითხოვთ?

— ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. შემადგენლობას გამოვცდი და მერე ვნახოთ...

მარკო მატერაცი

მე ვიტყვი და მსოფლიო ომი დაიწყება

ფიფას გადაწყვეტილებამ, მარკო მატერაცისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯათ, იტალიაში ბევრი აღაშფოთა. ფაქტია, ზიდანმა მსოფლიო საზოგადოებრიობა გააოგნა, როდესაც შეხვედრის დამატებითი დროის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მოულოდნელად მატერაცისკენ შეტრიალდა და მკერდში მთელი ძალით აძგერა თავი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ფრანგთა ყოფილმა კაპიტანმა განმარტა, რომ ამისკენ იტალიელის გაუთავებელმა გინებამ უბიძგა. საბოლოო წერტილი საქმეს ხუთშაბათს დაესვა, როდესაც ციურიხში გამართულმა ფიფას ხუთკაციანი სადისციპლინო კომიტეტის სხდომამ ზიდანს სამმატჩიანი, ხოლო მატერაცის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ორივე ფეხბურთელს დააკისრეს ფულადი ჯარიმაც.

რა გამოვიდა? ვინაიდან ზინედინ ზიდანმა ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ბავშვებისთვის ჩასატარებელი სამდღიანი უფასო გაკვეთილებით შეუცვალეს, ხოლო მატერაციმ ევრო 2008-ის შესარჩევი შეხვედრები უნდა გამოტოვოს ლატვიასა და საფრანგეთთან.

„რაღაცის თქმისთვის ფეხბურთელის დასჯა სკანდალური გადაწყვეტილებაა — თქვა ვეტერანმა პაოლო მალდინიმ — ასეთი რამ პირველად ხდება და ისიც იმიტომ, რომ მატერაცი იტალიელია, მათ კი უნდათ, დიდი ვარსკვლავის ცუდი ქცევა რამენაირად გაამართლონ.“

„ინტერის“ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი: „ორ რამეს შორის დიდი განსხვავებაა — სხვაა ზიდანის და მატერაცის დასჯა და სხვა — პროვოკატორისა და პროვოკატორზე წამოგებულის“.

მატერაცი კი ამასობაში მალდივის კუნძულებზე ნებივრობს და ასე ამბობს:

„რა ბედნიერებაა, როდესაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც გიცავენ. მეტს კი აღარაფერს ვიტყვი, რადგან ჩემი სიტყვების გამო შეიძლება მსოფლიო ომი დაიწყოს.“

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

პაპუნა ძიძია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გალაქტიკოს“, ეს არის დიდებულ ფეხბურთელთა კოლექცია, რომელიც მადრიდის სუპერმარკეტ „რეალში“ ხალხს ვიტრინიდან იზიდავსო — ხუმრობაა ასეთი. და ამ კოლექციის წევრთაგან ყველა, რაული, ზინედინ ზიდანი, დევიდ ბექემი, რობერტო კარლოსი თუ რონალდო, ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრძანდებოდა, ოღონდ იქ სუპერმარკეტთან დაკავშირებული გეგმები არც ერთს არ ჰქონია, თითოეულ მათგანს ჩემპიონობა სურდა

მას მოკლედ იაზს ეძახიან

„დახე, მსუქანია, მაგრამ მაინც მოძრაობს“ — აშაყირებდნენ რონალდოს.

„მისი დარტყმების შემდეგ ჰაერი კი ძლიერ იხვრიტება, მაგრამ მოწინააღმდეგის კარი რჩება სადღაც, ძალიან დაბლა“ — ამბობდნენ რობერტო კარლოსზე.

„ამ კაცს ვერ გაურკვევია რომელ სახელმძღვანელოში უნდა მოხვედრა, მარკეტინგის თუ ფეხბურთის“ — ცხადია, ეს სიტყვები დევიდ ბექემის მისამართით იყო ნათქვამი.

ნუ, რაულზე მადრიდში მაინც და მაინც არ ხუმრობდნენ, მაგრამ ყველასთვის ნათელი იყო, რომ „რეალის“ კაპიტანს ვიწროესპანური გზებით სიარული აღარ აკმაყოფილებდა და დიდ საერთაშორისო გზატკიცილზე სურდა გალაღება.

„აი, ამას კი ტოგოსთან გამოსათხოვარი მატჩი აქვს დანიშნული“ — საჭირო ა ამ ხუმრობის კომენტირება? ბუნებრივია ეს სიტყვები ეხებოდა ადამიანს, რომელმაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე გამოაცხადა, რომ გერმანია 2006-ზე საფრანგეთის ნაკრების ბოლო თამაში მისი კარიერის ბოლო მატჩიც იქნებოდა და, ვინაიდან საფრანგეთის ნაკრებზე მადრიდელ ხუმარებს დიდი წარმოდგენა არ ჰქონდათ, ზინედინ ზიდანს ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაშში უწინასწარმეტყველებდნენ ბურთთან გამოთხოვებას.

თურმე, მადრიდელი ოხუნჯები ზიდანს კარგად არ იცნობდნენ.

იაზი

ვილაზე, რომელსაც ზინედინ ზიდანის საპატივცემულოდ „ოქროს ბურთი“ ჰქვია, მისი ერთი ფოტოც არ არის. აქ, სახელგანთქმულ ფეხბურთელს არავინ ეძახის ზინედინს და, მითუმეტეს ზიზუს. ის ზიზუ ჟურნალისტებისა და გულშემატკივრებისთვისაა, თორემ მუსიე ჟან-კლოდ ელინოს სახლში მას იაზიდს ან მოკლედ იაზს ეძახიან. ამ ოჯახში ზიდანმა თხუთმეტი წლის რომ იყო, ათი თვე იცხოვრა. იმხანად დამწყები მოთამაშე „კანმა“ აიყვანა, მაგრამ ვინაიდან კლუბის სკოლას საერთო საცხოვრებელი არ ჰქონდა, ყმაწვილკაცს ელინოების სახლში მოუხდა ცხოვრება. დილაობით ჟან-კლოდს ვარჯიშებზე მიჰყავდა, ხოლო საღამოობით ნიკოლი სადილს ახვედრებდა. იაზიდი ამ ოჯახის იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ თავის ქორწილში, ბორდოს ვიცე-მერს სიტყვაში მოხსენიება სთხოვა.

მოკლედ, იაზიდი ანუ იაზ, ასე ეძახიან ზიდანს შინ და ვერანაირი სახელი და დიდება მას ვერ შეცვლის.

და, მადლობა ვის? — იკითხავდა ცნობილი შოუმენი. რა თქმა უნდა სმაილ ზიდანს, ალჟირელ გლეხს, რომელიც ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან აიყარა და მარსელში გადაბარგდა, სადაც ღამის ცვლაში საბარგო მანქანის მძღოლად მოეწყო, დღისით კი შვილებს ზრდიდა აღმოსავლურად მკაცრად, მაგრამ სიყვარულით.

სმაილი მალე მიხვდა, რომ ბურთის თამაში მის ერთ-ერთ ვაჟს სხვანაირად იტაცებდა და თავისი მოკრძალებული ხელფასით ბუცები უყიდა. საოცარია, რომ იმ მოდელის ბუცებს „რაიმონ კოპა“ ერქვა, პირველი ფრანგი „ოქროს ბუცის“ მფლობელის, სამიდან პირველი მუშკეტერის სახელი. მეორე და მესამე მუშკეტერი გნებავთ? ინებეთ, მიშელ პლატინი და... ზინედინ ზიდანი.

„კანის“ სკოლის მაშინდელი დირექტორი ბლანკე რანი: „ზიდანი სხვა ბავშვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ზუსტად ისეთი ბიჭუნა იყო, როგორც სხვები, მამამისი კი ძალიან კარგად დამამახსოვრდა. უცნაური ბატონი იყო, ყოველ შაბათს მარსელიდან კანში ჩამოდიოდა ვაჟის მოსანახულებლად. იგი გახლდათ იმ იშვიათზე იშვიათ მშობელთაგანი, რომელიც სკოლაში რეგულარულად მოდიოდა“.

დირექტორისგან განსხვავებით ზინედინის ყოველი მოძრაობა კარგად ახსოვს მის ერთ-ერთ პირველ შწვრთნელ ლოიკ ფაგონს, რომელმაც მაშინვე ამოიცნო გენიოსი. თუმცა, იცით, ყველაზე მეტად რით ამაყობს მასწავლებელი? იმით, რომ მისი აღზრდილი მას იხსენებს და საერთოდ, იმდენად ღირსეული ადამიანია, რომ ყველას, ვისაც მის ჩამოყალიბებაში თუნდაც მცირე წვლილი მიუძღვის, ღირსეულ პატივს მიაგებს. მაგალითი გნებავთ? ინებეთ: როდესაც ზიდანის სულ პირველი პედაგოგი რობერ სანტონიერო გარდაიცვალა, მან ყველაფერი მიატოვა და ცხრა მთას იქიდან ჩაქანდა მარსელის ყველაზე გატყავებულ კვარტალ კასტელანში.

კანს იაზიდი... უკაცრავად, ჩვენთვის ზინედინი კიდევ იმიტომ ემადლიერება, რომ სწორედ აქ გაიცნო მომავალი მეუღლე სახელად ვერონიკ, რომელიც დღეს მისი ოთხი ვაჟის დედაა. ეს უკვე საერთო საცხოვრებლის ეპოქაში მოხდა. ახალგაზრდები მეზობელ ოთახებში ცხოვრობდნენ. ისინი 1994 წელს დაქორწინდნენ, მას მერე, რაც ვერონიკმა მოცეკვავის კარიერას წერტილი დაუსვა და მთლიანად ოჯახზე გადაერთო.

მადრიდში ოროს ქუჩაზე მდებარე საპარიკმახერო სალონის მეპატრონე რაფაელა ბოლერო:

„რა ვიცოდი ვინ იყო, ის ყოველთვის ვერონიკის სახელით ეწერებოდა სიაში. მოკრძალებული ბოგოა, რომელიც ზუსტად იმ საგნებზე ლაპარაკობს, რაზეც სპარიკმახეროში შემოსული სხვა ქალები: ბავშვებზე, არდადეგებზე, ქმრებზე... ის ქმარზე რომ ლაპარაკობდა ყოველთვის იაზს ამბობდა. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ეს იაზი ის ზიდანი იყო“.

ზიზუ

როდესაც „კანი“ მეორე ლიგაში გავარდა ზიდანზე ნამდვილი ნადირობა ატყდა. ნადირობდნენ „მარსელი“ და „ბორდო“. გაიმარჯვა როლან კურბისმა ანუ „ბორდომ“, რომელმაც ნახევარი მილიონი პლუს მეტსახელი ზიზუ გაიღო.

სწორედ ბორდოში გახდა აშკარა, რომ საფრანგეთში გამოჩნდა არა მხოლოდ ნიჭიერი ფეხბურთელი და ადგილობრივი მნიშვნელობის ვარსკვლავი, არამედ გაცილებით მეტი. სწორედ ბორდოში შეიძინა ზინედინ ზიდანმა მეგობარი ბიქსენტ ლიზარაზუ და „ძმა“ კრისტოფ დიუგარი, სწორედ ბორდოდან მიიწვიეს ზიზუ საფრანგეთის ნაკრებში, სადაც ჩეხეთის კარში, სადებიუტო მატჩშივე გაიტანა ორი გოლი და სწორედ ბორდოდან დაიწყო მისი სვლა მსოფლიოს დასაპყრობად — ჯერ იტალიაში, შემდეგ ესპანეთში.

თანხა, რომელსაც ზიდანში ყოველი მომდევნო კლუბი იხდიდა, ყოველთვის მეტი იყო წინას მიერ გადახდილზე, ხოლო ის ფული, რომელიც 2001 წლის ზაფხულში მადრიდის „რეალმა“ გაიღო, დღემდე სარეკორდოა. ბოლოს და ბოლოს 75 მილიონ დოლარად კაცს დიდი სამგზავრო თვითმფრინავი მოგვია.

მაგრამ „რეალის“ წინ იყო „იუვენტუსი“, რომელიც ზიზუს რომ ყიდულობდა გათვლას უფრო სანახაობაზე აკეთებდა ვიდრე შედეგიან ფეხბურთზე. იცით, რა აღუთქვა „ფიატის“ და „ბებერი ქალბატონის“ ლეგენდარულმა შეფმა ჯოვანი ანიელიმ ქომაგებს? ციტატას მოვიყვანთ:

„ეს ბიჭი გაგვართობს. მის თამაშში იმდენი სარგებელი არ არის, რამდენიც შოუა“.

„კორიერე დელა სპორტის“ ტურინული ოფისის დირექტორი ენცო დორსი: „ერთხელ, „ინტერთან“ შეხვედრაში ზიზუ მოედნიდან გააძევეს. მეორე დღეს მას მამამ დაურეკა და უხეშობისთვის შავი დღე აყარა. მამის ამ ზარის შემდეგ ზიდანი კარგა ხანს თავდახრილი დადიოდა. როგორია? მილიონერ ვარსკვლავს უცებ მამიკო კუთხეში აყენებს... ასეთი რამ სერია A-ში არ ხდება“.

და მართლაც, ტურინში ზიზუ არ იქცეოდა ისე, როგორც სერია A-ს სხვა ფეხბურთელები. მაგალითად, სკოლაში ბავშვები თავად დაჰყავდა და მაღაზიაშიც თავად დგებოდა სალაროს რიგში.

დაბოლოს

ხოლო, სანამ გაჩნდებოდა ხუმრობა მადრიდის სუპერმარკეტ „რეალზე“, ზიზუმ ყველაფერი მოიგო რისი მოგებაც შეიძლებოდა: საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა, „რეალოან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა. როგორც ინდივიდუმმა — „ფრანს ფუტბოლის“ რეფერენდუმი, სამჯერ გახდა ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ხოლო ერთ-ერთი გამოკითხვით ყველაზე პატივცემული ფრანგის სახელიც კი მოიპოვა.

და აი, ახლა ის ფეხბურთიდან წავიდა და წავიდა არა ტოგოსთან, არამედ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, ოღონდ, სრულიად უცნაური ხერხით — ოჯახის შეგინებისთვის მოწინააღმდეგე გალახა. მატჩის და კარიერის დასრულებამდე 10 წუთიღა რჩებოდა.

პაპუნა კედია

კრუიფი ბრაზილიის ნახაზებმა დააბნია

ლეგენდარული იოჰან კრუიფი ქომაგთა იმ უმრავლესობას მიეკუთვნება, რომელთაც მუნდიალზე რონალდინიოს სუსტმა თამაშმა იმედები გაუცრუა. თუმცა, „მფრინავი ჰოლანდიელის“ აზრით, პენტაკამპეონთა და „ბარსელონას“ ლიდერი მალე დიდსაფეხბურთო ცაზე ძველებურად გაიბრწყინებს. იოჰან კრუიფს ესპანური „სპორტის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ

— იტალიის ჩემპიონატში მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალი საერთო ჯამში ფეხბურთისთვის კარგია თუ ცუდი?

— საერთოდ კარგია. ეს ისეა, როგორც ველოსპორტში - შინაგანი წმენდა. ახალი დრო მოდის. პერიოდი, როცა ფეხბურთში კლუბების პრეზიდენტები რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, წარსულს ჩაბარდა. დღეს ისინი ძირითადად სპორტულ საკითხებზე უნდა იყვნენ კოცენტრირებულნი.

— ამნისტიაზე რას იტყვით?

— სრული აბსურდია.

— ეტყობა, სპორტი სასამართლოში აპირებს გაბარგებას. „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებიც ხომ იქ გადაწყვიტეს...

— „რეალის“ შემთხვევა სწორედ ისაა, რაზეც ვსაუბრობთ. მადრიდელთა თანამედროვე დირექტორატი კლუბისთვის სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა არჩევნების ასეთი წესით ჩატარება, ანუ როცა თითოეული კანდიდატი ხალხს გამარჯვების შემთხვევაში ახალი მოთამაშეების „კონად“ ყიდვას სთავაზობს, მიუღებელია ფეხბურთელისთვის. „იუვენტუსის“ და „რეალის“ მაგალითები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთში ცვლილებებია საჭირო.

— სასამართლომ არჩევნების ჩატარება „ბარსასაც“ დაავალა...

— ეს სულ სხვა შემთხვევაა. ამას მშვიდად უნდა შევხვდეთ. თუ არჩევნები უნდა ჩატარდეს, ჩაატარებენ კიდეც. მთავარია, პრეზიდენტობის კანდიდატებმა უფრო „ბარსას“ კეთილდღეობაზე იფიქრონ, ვიდრე სიტუაციის გამწვავებაზე.

— იტალიური კლუბების სანქციებმა სატრანსფერო ბაზარზე დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ორი ექსიუვენტუსელი, ტურამი და ძამბროტა — „ბარსელონაში“ გადავიდა სათამაშოდ.

— როცა რაიმე გჭირდება, გზებს ეძებ ამის მისაღწევად. თანამედროვე ფეხბურთი ასეთია, ყველა კარგ ფეხბურთელს ეძებს და რაც შეიძლება, იაფად.

— საერთოდ, ძამბროტასა და ტურამის „კამპ ნოუზე“ მოსვლაზე რას ფიქრობთ?

— ხომ ნახეთ, გერმანიაში როგორც ითამაშეს — ორივე ჩინებულად გამოვიდა მუნდიალზე, ძამბროტა გუნდისთვის საჭირო კაცია და „ბარსას“ დაცვას ტურამიც გააძლიერებს.

— „ბარსელონას“ კიდევ სჭირდება შემადგენლობის გაძლიერება?

— ეს ყოველთვის სიტუაციაზეა დამოკიდებული. სიტუაციამ კი ის გვიჩვენა, რომ არც ერთ ბარსელონელ ვარსკვლავს მუნდიალზე განსაკუთრებით არ გამოუჩენია თავი. ახლა ალბათ ყველა ეცდება, მწვრთნელს თავისი ვარგისიანობა დაუმტკიცოს.

— რონალდინიომაც უფერულად ითამაშა მუნდიალზე. თქვენი აზრით, იგი მთელ ყურადღებას კლუბზე გადაიტანს?

— ბრაზილიელების ტაქტიკა ჩემთვის გაუგებარი დარჩა. იმედია, როცა რონალდინიო ესპანეთის ჩემპიონატს დაუბრუნდება, სურვილი გაუჩნდება, რომ სრულად დაამტკიცოს, რა შეუძლია. ეს ძალიან კარგი იქნება „ბარსასთვის“. მთელი მსოფლიო რონალდინიოსგან საუკეთესო თამაშს ელის.

— ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მოედანზე ლეო მესის ნახვას უფრო მეტი ხნით ელოდებოდით...

— და მარტო მე არა... თუმცა ბიჭმა მაინც მაგრად ითამაშა, მის დაძაბულ გრაფიკს თუ გვითვალისწინებთ... მესის სამი წელია, ფეხბურთისგან პრაქტიკულად არ დაუსვენია, გასულ ზაფხულსაც ხომ ახალგაზრდულ მუნდიალზე გახლდათ.

— ალბათ, გერმანიაში ნაწვნევ მარცხს ლეო მესი „ბარსაში“ წარმატებებით აინაზღაურებს. კატალონიურ გრანდს შანსი აქვს, წელს ექვსი დიდი ჯილდო მოიგოს...

— კლუბები ყოველთვის გააფთრებით იბრძვიან ტიტულებისთვის. რაც შეიძლება, მეტი ჯილდოს მოგებაა საჭირო, „ბარსას“ წელს უნიკალური შანსი აქვს ჯილდოთა მარაგის შესავსებად და კლუბის ხელმძღვანელობამ ეს მშვენივრად იცის. იმედია, გაგვიმართლებს.

— უკეთესია, რომ სეზონი ფავორიტის სტატუსით დაიწყოთ?

— ეს ძველი წარმატებების შედეგია. ფავორიტობა ყოველთვის მომწონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვები პატივს გცემენ. თუმცა მიზნის მისაღწევად სრული თვითკონტროლი და ასპროცენტიანი გარჯაა საჭირო. თუ შენი შესაძლებლობების მარტო 95 პროცენტი გამოავლინე, მორჩა — სხვაზე უკეთესი უკვე აღარ ხარ. მუნდიალი და ბრაზილია გაიხსენეთ, მოედანზე ძვლებს თუ არ დატოვებ, მოგებული სხვა დარჩება.

— რით შეიძლება ფაბიო კაპელომ „რეალი“ გაამდიდროს?

— გამოცდილებით. კაპელო მადრიდელებს წარმატებებს მოუტანს, ამაში ეჭვი არ მეპარება.

მასპინძელი პარეირას მეპატიჟება



კარლოს ალბერტო პარეირა შესაძლოა, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელი გახდეს. ეს ქვეყანა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძელია და მაღალი კლასის მწვრთნელს ეძებს.

„სამხრეთ აფრიკა? — თქვა პარეირამ — საკმაოდ სერიოზული წინადადებაა. ამაზე ვიფიქრებ, ოღონდ 2007 წლამდე მუშაობის განახლებას არ ვაპირებ.“

კარლოს ალბერტო პარეირა სამი დღის წინ გადადგა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობიდან, მიზეზად კი ოჯახური პრობლემები დაასახელა, დასვენება მინდაო. მისმა ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში საფრანგეთთან წააგო.

ირაკლი ნინიძე

გონსალესის სენტრალი



არგენტინელი კილი გონსალესი, რომელმაც კარიერის უმეტესი ნაწილი ევროპულ კლუბებში გაატარა, მომავალი ორი სეზონის განმავლობაში პატაგონიურ „როსარიო სენტრალში“ ითამაშებს. ამ გუნდის ოფიციალური ვებ-გვერდი გვატყობინებს, რომ კილიმ „როსარიოსთან“ ხელშეკრულება ხუთშაბათს გააფორმა.

გონსალესმა თავის ახალ კლუბში მისვლამდე „ბოკა ხუნიორს'ში“ დაბრუნებაზე განაცხადა უარი. „როსარიო სენტრალმა“ კი ამ ტრანსფერამდე ერთი კვირით ადრე სხვა გამოცდილი ფეხბურთელიც იყიდა — კოსტარიკელი პაულო („ლა კობრა“) ვანჩოპე.

კილიმ კარიერა 1993 წლის 18 დეკემბერს როსარიოში დაიწყო. იქ 1995-მდე იბურთავა და შემდეგ „ბოკა ხუნიორსს“ მიაშურა.

მრავლისმნახველ არგენტინელს ყველა კლუბში ერთად 454 მატჩი უთამაშია და 51 გოლი გაუტანია.

„ბოკაში“ ხუან სებასტიან ვერონის, დიეგო მარადონას და კლაუდიო კანიჯას გვერდით თამაშობდა. ამის მერე ესპანურ „სარაგოსაში“ წავიდა, შემდეგ კი „ვალენსიაში“. არგენტინელის ბოლო ევროპული კლუბი მილანის „ინტერი“ გახლდათ.

ლადო ხომერიკი

ლიონი მარჯვენას ეძებს

ფრანგული „ლიონი“ „იუვენტუსის“ მაურო ხერმან კამორანეზითაა დაინტერესებული. 29 წლის ფეხბურთელს მსურველები ინგლისიდანაც ჰყავს, მაგრამ ამბობენ, „ლიონის“ პირობები საუკეთესოაო.

„კამორანეზი მართლაც გვაინტერესებს. არ გეგონოთ, „იუვენტუსის“ რთული ვითარებით ვსარგებლობდეთ. უბრალოდ, მარჯვენა ფლანგზე შემტევი ნახევარმცველი გვჭირდება, პიერ-ალან ფროსა და სიდნეი გოვუს შემცვლელად“ — თქვა ლიონელთა წარმომადგენელმა.

„ლიონის“ მფლობელი ჟან-მიშელ ოლა ტურინელებთან მოლაპარაკებას ალბათ უახლოეს დღეებში წამოიწყებს.

შეგახსენებთ, რომ კამორანეზი იტალიაში 2000 წლიდან თამაშობს, როდესაც „ვერონაში“ ჩაირიცხა. ორი წლის მერე იგი „იუვენტუსში“ გადავიდა და გუნდს კარგადაც მოერგო. თუმცა ფეთქებადი ხასიათის გამო, ხშირად კლუბის უფროსობასთან კონფლიქტი მოსდიოდა, ასე იყო შარშანაც. ამის გამო, ჯერ კიდევ ტურინელთა სერია **B**-ში დაქვეითებამდე ამბობდნენ, კამორანეზი „დელე ალპის“ უთუოდ დატოვებსო. „ბებერი ქალბატონის“ რიგებში მას 92 მატჩი აქვს ჩატარებული.

კოკი კანდელაკი

გემმიდან ამოვარდნილი

არგენტინის ნაკრების კაპიტანი 30 წლის ხუან პაბლო სორინი, როგორც ირკვევა, „ვილიარეალიდან“ წავა — განაპირა მცველი ესპანურ გუნდში თავს ჩინებულად გრძნობდა, მაგრამ ახლა მის შესაძენად დიდი კონკურენციაა გაჩაღებული. რამდენადაც ცნობილია, სორინის შეძენით დაინტერესებულნი არიან ინგლისური „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „ბოლტონ უონდერერსი“, გერმანული „შტუტგარტი“ და იტალიური „ინტერი“.

„ვილიარეალის“ პრეზიდენტი ფერნანდო როიგი: „ჩვენ სორინს ვყიდით და საამისოდ რამდენიმე კლუბთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ამ მოლაპარაკებათაგან რომელიმე წარმატებით რომ დამთავრდება, ეჭვი არ მეპარება, რადგან საამისო მიზეზი ბევრია“.

სორინისა და „ვილიარეალის“ ძველ კონტრაქტს ვადა ორ წელიწადში გაუდის, მაგრამ, ეტყობა მწვრთნელ მანუელ პელეგრინის იგი სამომავლო გეგმებში აღარ ჰყავს.

პაპუნა კედია

სახალხო სირცხვილი



დევიდ ოლირის როი აიტკენი (მარჯვნივ) შეცვლის

„ასტონ ვილას“ თავმჯდომარე დუგ ელისი სახალხო სირცხვილის წინაშე დგას.

გუნდიდან მენეჯერ დევიდ ოლირის დათხოვნის შემდეგ, მან ალან კერბიშლისა და მარტინ ონილს შესთავაზა მენეჯერობა, მაგრამ ყველამ იცის, „ვილაში“ მისვლა არავის უნდა.

კერბიშლიმ მიუგო, ერთი წლით ფეხბურთისგან ვისვენებო. ელისს ონილის იმედი აქვს, თუმცა, ამისა არავის სჯერა. ადრე, „ვილას“ ბოსს უიგანელმა პოლ ჯუელმაც უარი უთხრა. მიზეზი ცნობილია — ელისის სიძუნწე კლუბის მიმართ და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ამბიციის დასამარება.

სავარაუდოდ, კლუბს დროებითი მენეჯერი, როი აიტკენი, გაუძღვება.

აიტკენი ამბობს, რომ ჯანყის მიუხედავად, ფეხბურთელთა შორის სიმშვიდე სუფევს.

თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუშინ ელისმა განაცხადა, კლუბის გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს კვლავაც ვაგრძელებო, გარკვეული ბევრი არაფერი ჩანს.

ირაკლი გამყრელიძე

გუს ჰიდინკი და გრემ არნოლდი

ავსტრალიამ გრემი აიღო

გრემ არნოლდი ავსტრალიის ნაკრების დროებით მწვრთნელად დანიშნეს. ის უთავკაცებს გუნდს აზიის თასის ორ შესარჩევ მატჩში, რომლებიც აგვისტოში გაიმართება.

არნოლდი გუს ჰიდინკის თანაშემწედ მუშაობდა მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე, სადაც ოზები მერვედფინალში გავიდნენ და იტალიასთან დამარცხდნენ. შეგახსენებთ, რომ ჰიდინკი ავსტრალიიდან წავიდა და რუსეთის ნაკრები ჩაიბარა.

„რაკი ამ დროისთვის სხვა მწვრთნელის მოძებნას ველარ ვასწრებთ, გადავწყვიტეთ, გუნდი გრემ არნოლდს ჩავაბაროთ, რათა შესარჩევ მატჩებს მომზადებულები შეეხვდეთ. ფეხბურთელები მშვიდად იქნებიან და ეცოდინებათ, რომ თავკაცი ჰყავთ. დარწმუნებულები ვართ — არნოლდი ჰიდინკის საქმეს კარგად გააგრძელებს. იგი უკვე ექვსი წელია ნაკრებში მუშაობს და გამოცდილება არ აკლია“ — განაცხადა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა ჯონ ონილმა.

ირაკლი ნინიძე

თმაშეჭრილმა დასძახა



მოახლოვდა ახალი სეზონი და ჟოზე მაურინიუმაც დასძახა: საომრად მზად ვარო.

წელსაც შევებრძოლები „არსენალს“ და „მანჩესტერს“ და ჩემპიონობის ჰეთ თრიკს ავასრულებო.

„შეხედეთ, თმა როგორ შევიჭერი. საომრად მზად ვარ. მიზანი, ჩემპიონობაა, არ მაინტერესებს, რამდენ გოლს გავუშვებ და რამდენს წავაგებ. მთავარი ტიტულია. პრემიერლიგა ყველაზე რთული შეჯიბრია მსოფლიოში და განზე თვალს ვერ გააპარებ.

ამ ზაფხულს ყველა მოძლიერდება. ჩვენ 10 ფეხბურთელის ყიდვა არ გვჭირდება, 2-3 გვეყოფა. იმ ადგილზე, სადაც სისუსტეს ვიხილავთ, ყველა მოძლიერდება, მაგრამ ვეჭვობ, რომ ყველა ვერ ახერხებს სწრაფი ფეხბურთელების ყიდვას. ამის მიუხედავად, პრემიერლიგა უფრო რთული გახდება.

მე ძალიან მომწონს ჩემი ფეხბურთელები, მაგრამ, იძულებული ვარ, ზოგიერთი მათგანი გავუშვა, რადგან შათ თამაშების 75 პროცენტს ვერ შეეპირდები. სამწუხაროდ, ასე მომიხდა ასიერ დელ ორნოსთან და დემიენ დაფთან.“

მოკლედ, მაურინიო ფორმაშია.

ირაკლი გამყრელიძე

ზიკო იყო, ოსიმი არის

ივიცა ოსიმი

იუგოსლავიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ბოსნიელმა ივიცა ოსიმმა გუშინ იაპონიის ეროვნულ გუნდთან კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა. მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე აზიელებს ბრაზილიელი ზიკო თავკაცობდა, რომლის ხელშიც ჯგუფიდან ვერ გავიდნენ. ზიკო გადადგა.

იუგოსლავიამ ოსიმის მწვრთნელობისას 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალს უწია. 65 წლის ბოსნიელი იაპონელებისგან მილიონ 700 ათას დოლარს მიიღებს.

ოსიმი იაპონური ჯეი ლიგის „ჯუფ იუნაიტედს“ თავკაცობდა, რომელმაც წინა სეზონში ქვეყნის თასი მოიგო.

ბოსნიელის დებიუტი 9 აგვისტოს, ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში შედგება, შემდეგ კი აზიის თასის შესარჩევი შეხვედრა ელის იემენთან. ეს თამაში 16 აგვისტოს გაიმართება.

ვაჟა ხუციშვილი

მაკარტი მგელთა შორის



„ვულვერჰემპტონმა“ თავის ახალ მენეჯერად 47 წლის მიკ მაკარტი დაამტკიცა.

ირლანდიისა და „სანდერლენდის“ ყოფილმა ბოსმა დროებითი მენეჯერი სტიუარტ გრეი შეცვალა, რომელმაც, თავის მხრივ, გუნდიდან სამი კვირის წინ წასული გლენ ჰოდლის ადგილი დაიკავა.

„ერთი სული მაქვს, სანამ საქმეს შევუდგები“ — თქვა მაკარტიმ, რომელსაც ჯერჯერობით ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

მან „სანდერლენდი“ პრემიერლიგაში კი მოიყვანა, მაგრამ იქ უშანსოდ დარჩენილ გუნდს ველარაფერი მოუხერხა და დაითხოვეს. „ვულვზის“ უფროსობა იმედოვნებს, რომ მიკი მათაც მაღლა გაუძღვება.

ირაკლი გამყრელიძე

ირლანდია აირია

ირლანდიის ფეხბურთის თავკაცმა ჯონ დელანიმ „დუბლინ სიტი“ არ დაინდო

„დუბლინ სიტი“ ფინანსური პრობლემების გამო ირლანდიის პრემიერდივიზიონიდან გააგდეს.

„სამწუხაროა, რომ სათანადო თანხა ვერ ვიშოვეთ და ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ“ — თქვა კლუბის შეფმა.

კლუბის გაძევებამ კი პრემიერდივიზიონის ცხრილი შეცვალა, რადგან „დუბლინ სიტის“ ნათამაშები 17 მატჩის შედეგი გაუქმდა და 12-გუნდიანი ჩემპიონატი 11-მდე შემცირდა.

ვაჟა ხუციშვილი

შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

ჰეკენი 0:2 იურგორდენი

ჰამარბი	10	7	2	1	19:10	23
იურგორდენი	11	5	4	2	13:8	19
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
აიკ	10	5	3	2	18:12	18
მალმიო	10	5	3	2	14:9	18
კალმარი	10	5	2	3	15:9	17
ელფსბორგი	10	4	5	1	14:10	17
გაის	10	3	3	4	9:12	12
გეფლე	10	3	3	4	8:12	12
ჰელსინგბორგი	10	2	4	4	13:15	10
ჰეკენი	11	2	4	5	12:15	10
ჰალმსტადი	10	1	5	4	4:9	8
იოსტერსი	10	1	2	7	4:19	5
იორგრიტე	10	0	3	7	7:17	3

აშშ

MLS. გადადებული მატჩი

კოლორადო 3:3 ჩივასი

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

A ჯგუფი
II ტური

პოლონეთი 4:1 ბელგია
ავსტრია 1:3 ჩეხეთი

პოლონეთი	2	1	0	1	4:2	3
ჩეხეთი	2	1	0	1	5:5	3
ავსტრია	2	1	0	1	2:3	3
ბელგია	2	1	0	1	5:6	3

B ჯგუფი
II ტური

ესპანეთი 4:0 შოტლანდია
პორტუგალია 4:4 თურქეთი

ესპანეთი	2	2	0	0	9:3	6
პორტუგალია	2	0	2	0	6:6	2
თურქეთი	2	0	1	1	7:9	1
შოტლანდია	2	0	1	1	2:6	1



მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:2 გვადალახარა *(მექსიკა)* (0:0)

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ავსტრია. ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
21:30	6	ალტახი-ზალცბურგი	5.00	3.50	1.55	2.05	1.18	1.07
21:30	7	გრაცერი-მატერსბურგი	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
21:30	8	პაშინგი-ავსტრია	2.70	3.00	2.45	1.42	1.28	1.34
		23 ივლისი						
21:30	10	რაპიდი-შტურმი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96

შვეიცარია. სუპერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
19:45	16	ბაზელი-შაფჰაუზენი	1.25	4.70	8.00	1.00	1.08	2.96
19:45	18	ციურიხი-აარაუ	1.35	4.40	6.50	1.03	1.11	2.62
		23 ივლისი						
18:00	19	სიონი-ლუცერნი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
18:00	20	თუნი-იანგ ბოიზი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42

შვეიცარია. ჩელენჯლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
21:30	21	ბოლმი-კონკორდია	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
19:30	23	დელემონტი-ვილი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
19:30	25	კრინსი-ვოლენი	2.30	3.10	2.60	1.32	1.22	1.41
21:30	27	ლუგანო-ლოკარნო	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
19:30	28	ვადუცი-სერვეტი	1.70	3.20	4.30	1.11	1.21	1.83
20:00	29	ივერდონი-ვინტერთური	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14

რუსეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
18:00	34	ლოკომოტივი-ტომსკი	1.45	4.00	6.00	1.06	1.16	2.40
		23 ივლისი						
14:00	35	ცსკა-კრილია	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
12:00	36	ენერგია-როსტოვი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	38	ნალჩიკი-ამკარი	1.55	3.60	5.30	1.08	1.19	2.14
20:00	39	ზენიტი-ტორპედო	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
		25 ივლისი						
19:00	37	მოსკოვი-დინამო	2.35	3.00	2.80	1.31	1.27	1.44

სლოვაკეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
20:00	40	ინტერი-რუჟომბეროკი	3.75	3.20	1.80	1.72	1.21	1.15
20:00	41	ნიტრა-ჟილინა	2.45	2.90	2.65	1.32	1.27	1.38
22:00	43	ტრენჩინი-დუბნიცა	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
20:00	44	ტრნავა-ბ.ბისტრიცა	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		23 ივლისი						
12:30	42	პეტრჟალკა-სლოვანი	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91

დანია. სუპერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
19:00	55	სილკებორგი-კოპენჰაგენი	5.70	3.60	1.50	2.20	1.18	1.05
		23 ივლისი						
20:00	52	ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
17:00	53	ესბიერგი-ოლბორგი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
17:00	54	რანდერსი-ჰორსენსი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
17:00	57	ვიბორგი-მიდტიულანდი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59

ნორვეგია. ტიპელიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
18:00	60	მოლდე-ოდ გრენლანდი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
21:00	61	ვოლერენგა-ლინი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
		23 ივლისი						
20:00	62	ჰამარი-სანდეფიორდი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
20:00	63	სტარტი-რუსენბორგი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
22:00	64	ფრედრიკსტადი-ვიკინგი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
		24 ივლისი						
21:00	65	სტაბეკი-ტრომსიო	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69

ნორვეგია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		23 ივლისი						
20:00	66	ალესუნდი-პორს გრენლანდი	1.25	5.20	9.50	1.00	1.10	3.36
20:00	67	ჰიოდი-მანგლერუდი	2.40	3.60	2.40	1.44	1.20	1.44
20:00	68	ჰიონეფოსი-ფოლო	1.45	3.90	6.50	1.05	1.18	2.43
20:00	69	ლოვ ჰამი-სტრომსგოდსეტი	3.30	3.40	2.00	1.67	1.24	1.25
20:00	70	მოსი-ბოდიო გლიმტი	2.20	3.40	2.90	1.33	1.25	1.56
20:00	71	სოგნდალი-კონგსვინგერი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
20:00	72	სპარტა ს-ბრინი	3.30	3.40	2.00	1.67	1.24	1.25
20:00	73	ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი	2.80	3.40	2.25	1.53	1.24	1.35

შვედეთი. ალსვენსკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
18:00	79	იორგრიტე-ჰელსინგბორგი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
		23 ივლისი						
19:00	80	აიკ-ჰალმსტადი	1.75	3.50	3.85	1.16	1.20	1.83
19:00	81	გეფლე-მალმიო	3.40	3.40	1.90	1.70	1.21	1.21
		24 ივლისი						
21:00	82	იოსტერსი-გაის	2.35	3.00	2.70	1.31	1.25	1.42

შვედეთი. სუპერეტა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		23 ივლისი						
17:00	83	უმეა-დეგერფორსი	2.75	3.30	2.25	1.50	1.23	1.33
19:00	84	მიალბი-ატვიდაბერგი	2.35	3.30	2.65	1.37	1.24	1.46
		24 ივლისი						
21:00	85	ასირისკა-ბრომაპოიკარნა	1.95	3.40	3.20	1.23	1.21	1.64
21:00	86	იონკოპინგი-იორებრო	3.80	3.40	1.80	1.79	1.22	1.17

ფინეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
17:00	89	იარო-ვპს	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		23 ივლისი						
19:30	90	ჰონკა-მარიეჰამნი	1.65	3.50	4.55	1.12	1.21	1.97
19:30	91	კტპ-კუოპიო	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:30	92	ტურკუ-ჰაკა	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
20:00	93	ლაჰტი-ჰიკ	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23

ირლანდია

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
22:30	100	ლონგფორდი-უოტერფორდი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
		23 ივლისი						
18:15	101	ბრეი-სტ.პატრიკსი	3.00	3.10	2.15	1.52	1.25	1.26

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იაპონია						
		22 ივლისი						
13:00	111	ტოკიო-კაშიმა	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
13:00	112	ჰიროსიმა-იჩიჰარა	2.65	3.00	2.30	1.40	1.23	1.30
14:00	113	გამბა-ნაგოია	1.50	3.50	5.20	1.04	1.16	2.09
14:00	114	ივატა-ჩერეძო	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
14:00	115	კავასაკი-ურავა	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
14:00	116	ოიტა-ნიიგატა	2.25	3.10	2.75	1.30	1.23	1.45
14:00	117	ომია-კოფუ	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
		23 ივლისი						
14:00	118	კიოტო-შიმიცუ	2.60	3.10	2.35	1.41	1.23	1.33
14:00	119	იოკოჰამა-ფუკუოკა	1.60	3.40	4.60	1.08	1.18	1.95
		აშშ						
		22 ივლისი						
23:45	122	კოლამბუსი-ლოს ანჯელესი	2.30	3.10	2.65	1.32	1.23	1.42
23:45	123	ნიუ იორკი-კანზასი	2.10	3.20	2.85	1.26	1.20	1.50
23:45	124	ჩიკაგო-ვაშინგტონი	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33
23:45	125	ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
23:45	126	სოლტ ლეიკი-დალასი	2.60	3.10	2.35	1.41	1.23	1.33
		ბრაზილია						
		22 ივლისი						
23:00	127	ფიგეირენსე-გრემიო	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
23:00	128	პარანა-კრუზეირო	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
23:45	129	კორინთიანსი-ფორტალეზა	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
23:45	130	ფლუმინენსე-სან კაეტანო	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14
		23 ივლისი						
23:45	134	გოიასი-პალმეირასი	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
23:45	136	სანტოსი-ჟუვენტუდი	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
		ჩილე						
		22 ივლისი						
23:00	137	ანტოფაგასტა-კოლო კოლო	4.20	3.30	1.70	1.84	1.21	1.12
23:00	138	აუდაქსი-რეინჯერსი	1.45	3.70	5.50	1.04	1.14	2.21
23:00	139	კოკიმბო-ევერტონი	1.70	3.40	3.90	1.13	1.18	1.81
23:00	140	უაჩიპატო-კობრესალი	1.42	3.70	5.80	1.02	1.14	2.25
23:00	141	ჰიგინსი-მორნინგი	1.35	4.10	6.50	1.01	1.11	2.51
23:00	142	პალესტინო-უნ.ჩილე	6.50	3.90	1.37	2.43	1.13	1.01
23:00	143	პუერტო მონტი-კობრელოა	2.15	3.10	2.85	1.26	1.22	1.48
23:00	144	უონდერერსი-სერენა	2.15	3.10	2.95	1.26	1.24	1.51
23:00	145	უკონსეპსიონი-უნ.კატოლიკა	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
		ევროპის ჩემპიონატი (19)						
		პოლონეთი						
		23 ივლისი						
20:00	372	ესპანეთი(19)-პორტუგალია(19)	1.70	3.30	4.00	1.12	1.19	1.80
20:00	373	თურქეთი(19)-შოტლანდია(19)	1.85	3.20	3.40	1.17	1.19	1.64
22:00	374	ბელგია(19)-ავსტრია(19)	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
22:00	375	პოლონეთი(19)-ჩეხეთი(19)	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
		ბელგია						
		სუპერ თასი						
		22 ივლისი						
22:00	257	ანდერლეხტი-ვარეგემი	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
		ინტერტოტოს თასი						
		22 ივლისი						
20:00	263	დნიპრო-მარსელი	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
20:00	265	ფარული-ოსერი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
19:00	266	მოსკოვი-ჰერტა	2.50	3.10	2.60	1.38	1.27	1.41
21:30	267	გენტი-გრასჰოპერსი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	268	ჰიბერნიანი-ოდენსე	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	269	კაისერი-ლარისა	1.60	3.60	4.85	1.10	1.20	2.06
18:00	270	ლილესტრიომი-ნიუკასლი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
22:00	271	მარიბორი-ვილიარეალი	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
21:00	272	ტირასპოლი-რიდი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
17:30	273	ტვენტე-კალმარი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით ალმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით ალმაშენებლის №12	

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსმდგომი შუაკაცი

ფედერაცია კანადელთა საქმეში არ ერევა


გურამ [illegible] ფოტო

გუშინწინ კანადურ გაზეთ „ტორონტო სტარში“ დაიწერა, ჯეი ტრაიანო საქართველოს ნაკრებში მუშაობას დათანხმდა და 4 წელი ამ ევროპული გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნებაო.

იურიდიულად რამდენად მოგვარებულია ეს საკითხი, ძნელი სათქმელია, რადგან საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ტრაიანოსთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. ხოლო ის, რომ „ტორონტო რეპტორზის“ ასისტენტი მწვრთნელი საქართველოს სამწვრთნელო შტაბში იმუშავებდა, ეს კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო.

— ტრაიანო ნაკრების მწვრთნელად მუშაობაზე ამას წინათ დავითანხმეთ. რამე ოფიციალური ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია ამასთან დაკავშირებით, მაგრამ სიტყვიერად შეთანხმებულები ვიყავით — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ

— თქვენი აზრით, კანადურმა გაზეთმა მაინცდამაინც ახლა რატომ დაწერა ტრაიანოს დანიშვნის შესახებ?

— მე არ მინახავს ეგ სტატია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დანიშვნის თაობაზე გადაჭრით არაფერი ეწერებოდა. ტრაიანოსთან კონტრაქტი არ გაგვიფორმებია, მასთან მოლაპარაკებებს გორდონ ჰერბერტი და სატრანსფერო კომპანია „ენტერსპორტის“ აგენტი აწარმოებდნენ. ტრაიანომ ერთხელ უკვე მიიღო ჩვენი შეთავაზება და საქართველოს ნაკრებში მუშაობას დათანხმდა, ხოლო მთავარი მწვრთნელი იქნებოდა თუ ასისტენტი, ეს, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, თავად მწვრთნელებს უნდა გაერკვიათ ერთმანეთში.

— ჰოდა, ალბათ, გაარკვიეს და კანადური პრესა ამიტომაც აცხადებს, ტრაიანო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდაო...

— შესაძლოა, გაარკვიეს კიდეც, მაგრამ ამის თაობაზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ჯერ არაფერი იცის. ეს არც იყო ჩვენთვის პრინციპული საკითხი. ჰერბერტი იქნებოდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ტრაიანო ასისტენტი თუ პირიქით, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით. ორივე მათგანი უმაღლესი დონის სპეციალისტია, ერთად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ და თავად უკეთესად განსაზღვრავენ ჩვენი ნაკრების წვრთნის სპეციფიკასა და გეზს.

— ესე იგი, ტრაიანო მთავარი მწვრთნელი ხდება...

— თუ ერთმანეთში უკვე გაარკვიეს ეგ საკითხი, წინააღმდეგი არ წავალთ. უახლოეს ხანში დავუკავშირდებით ორივე მწვრთნელს და უფრო კონკრეტულად დაველაპარაკებთ.

— **ტრაიანოს კონტრაქტს როდის გაუფორმებთ?**

— ჯერჯერობით კონტრაქტი მხოლოდ გორდონ ჰერბერტთან გვაქვს გაფორმებული, რომელშიც არაფერია ნათქვამი ასისტენტ მწვრთნელებზე. ტრაიანოს რომ კონტრაქტს გავუფორმებთ, ეს ნაღდია, მაგრამ ზუსტ თარიღს ახლა ვერ გეტყვით.

— **კულუარებში ითქვა, ჰერბერტი „პო ორტეზშია“ დაკავებული და საქართველოს ნაკრებში აღარ იმუშავებსო...**

— საიდან მოიტანეს ასეთი ინფორმაცია, არ ვიცი, ის კი უეჭველია, რომ ჰერბერტი, ისევე როგორც ჯეი ტრაიანო, კენ ატკინსონი და დავით უსიტაშვილი, საქართველოს ნაკრებს გაუძღვებიან.

ირაკლი ბერტაია

ჯორჯ კარლი და ნენე ერთმანეთით კმაყოფილობენ

მე მინდა ვიყო მე

ნენემ ბრაზილიელ ფეხბურთელებს აჯობა

ამ ზაფხულს, ერთი კვირის განმავლობაში ორი კლუბიდან — „ფინიქსიდან“ და „პორტლენდიდან“ წამოსული თუ გამოშვებული ნიკა ცქიტიშვილი ჯერაც უგუნდოდაა — ისევ „ფინიქსთან“ ერთად ვარჯიშობს და ხეირიან შეთავაზებას ელის.

ამასობაში კი ნიკას ძველმა, დრაფტისდროინდელმა მეგობარმა ნენემ ძველ გუნდთან ახალი სარფიანი კონტრაქტი გაშანსა. 2002 წლის დრაფტზე „ნაგიტსმა“ ცქიტიშვილს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა (6,8 მილიონი). მე-5 ნომრად არჩეულ ნენეს მაშინ 3 წელიწადში 5,9 მილიონი შეხვდა. ქართველთათვის იმ ეიფორიული დრაფტის 4 წლისთავზე კარგად ჩანს, ვინ როგორ გამოადგა „დენვერს“. თავისი პირველი გუნდიდან წამოსვლის შემდეგ, ბოლო წელიწადნახევარში ცქიტიშვილმა 4 გუნდის შემადგენლობაში ჩაჯდომა-ამოვარდნა მოასწრო, ნენე კი ისევ „დენვერშია“ და ისეთი პირი უჩანს, იქ კიდევ დიდხანს მორჭმით იქნება.

211-სანტიმეტრიანმა ბრაზილიელმა ფორვარდ-ცენტრმა გუშინწინ „დენვერთან 6-წლიან და 60 მილიონიან კონტრაქტზე თავისი ხელმოწერა ალბეჭდა. კლუბს იმდენად სურდა ნენეს დატოვება, რომ ყურადღება არ მიაქცია მის ხშირ ტრავმიანობას. ბრაზილიელს ხომ მთლიანად გაუცდა განვლილი სეზონი — 2005 წლის შემოდგომაზე რეგულარული ჩემპიონატის პირველივე მატჩში უკვე მესამე წუთზე ისე დაიმტვრა, რომ ჯერაც ვერ მორჩა საბოლოოდ და ამის გამო ის ბრაზილიის ნაკრებს იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მიჰყვება.

„შარშან ნენე რომ დაიმტვრა, ის დღე ერთ-ერთი ყველაზე საშინელი იყო ჩემს ცხოვრებაში — ამბობს „ნაგიტსის“ თავკაცი ჯორჯ კარლი — მის გარეშე ჩვენ უძნელესი სეზონი გვქონდა და ახლა ძალიან კმაყოფილები ვართ, შემოდგომაზე რომ შემოგვიერთდება. მართალია, წინასწარი ვარაუდით, ის 80 პროცენტით თუ იქნება ფორმაში, მაგრამ ესეც კარგია.“

კმაყოფილი ჩანს თავად ბრაზილიელიც — 60 მილიონს რომ გაინაღდებ, კმაყოფილი იქნები, აბა რა იქნება. ამხელა ხელფასი ბრაზილიელ სუპერფეხბურთელებსაც სანატრელი აქვთ.

„ძალიან მინდა, კარლ მელოუნივით ვიყო — ამბობს ყურებამდე გაღიმებული ნენე — მთელი კარიერა დაახლოებით 15-18 წელი ერთ გუნდში ვითამაშო.“

ორიოდ კვირის წინ მან ცოლიც მოიყვანა — „ბევრი მიზეზი მაქვს, ბედნიერი ვიყო, ორი კვირის წინ ცოლი მოვიყვანე, იდეალური ქალი ვიპოვე. ახლა ეს კონტრაქტიც გავაფორმე...“

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ „დენვერმა“ მის შესანარჩუნებლად ამხელა ფულის გამოსვლა გარისკა, ბრაზილიელი მაინც ვერ ჩაითვლება ვარსკვლავად. სტაბილურ მოთამაშედ კი, გუნდის თუნდაც მეორე-მესამე ლიდერად კი ვერა. პირველ სამ სეზონში ის საშუალოდ 10,7 ქულას და 6,2 მოხსნას აგროვებდა და ძირითადად სათადარიგოთა სკამიდან ერთვებოდა თამაშში. ჩანს, კლუბის ხელმძღვანელებს მისი დაწინაურება და ბოლომდე გამოყენება განუზრახავთ და მასზე ამხელა ავანსებსაც ამად გასცემენ. თავადაც ოპტიმისტურად უყურებს მომავალს — „მჯერა საკუთარი თავის და შესაძლებლობების. მჯერა, რომ შემიძლია ისეთი კალათბურთელი ვიყო, როგორიც მინდა ვიყო — ოლ სტარის დონის და ჩემპიონობაზე ვფიქრო.“

კოტე ყორშია

გიორგი გულისაბედაშვილს გული უცხოეთში მიუწევს


გურამ [illegible] ფოტო

გიორგი გულისაბედაშვილი 18 წლისაა და ეროვნულ ჩემპიონატში უკვე თავისი სიტყვა ეთქმის. გასულ სეზონში ამ ხელჩუპინმა გამთამაშებელმა „დინამოს“ დუბლიორთა გუნდიდან დამწყებ ხუთეულში გააკეთა ნახტომი. მისი ბასრი სამქულიანების სიმწარე, თითქმის ყველა ქართულმა გუნდმა იგემა. გულისაბედაშვილი მყარად ჩაჯდა „დინამოს“ ძირითადში და რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად გუნდის გამწევ ძალას წარმოადგენდა. ჰოდა, ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახეს, სადაც, ძირითადად, 2 წლით უფროსები იყვნენ და... გულისაბედაშვილი საპორტუგალიო 12-კაცეულში ვერ მოხვდა, თუმცა საზღვარგარეთ მაინც მოუხდა გამგზავრება — მან გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში თავისუფალ აგენტთა კემპში მიიღო მონაწილეობა.

— გერმანიაში მას მერე გადავწყვიტე წასვლა, რაც ლაშა გამყრელიძეს მოწვევა მოუვიდა და გამგზავრებაზე უარი თქვა — გვითხრა გიორგი გულისაბედაშვილმა — ლაშამ მითხრა, თუ გინდა, შენ წადიო და მეც ჩემი მონაცემები გავგზავნე ფრანკფურტში. გერმანიიდან მალე ჩამომივიდა მოწვევა და 6-11 ივლისს „დოიჩე ბანკის“ მიერ ორგანიზებულ კემპში ვითამაშე.

— **ასაკი შეზღუდული იყო?**

— არა და ყველაზე ახალგაზრდა მე ვიყავი. ძირითადად, ამერიკელები და ხორვატები იყვნენ, რომლებსაც ევროპულ კლუბებში სურდათ მოწყობა. მონაწილეთაგან 8 გუნდი გაკეთდა, მე ხორვატებთან მოვხვდი. ჩვენს გუნდს „ბალკანი“ ერქვა, 3 თამაშიდან 2 მოვიგეთ და მე-5 ადგილზე გავედით.

— **საკუთარ თამაშზე რას იტყვი, ვინმე თუ დაინტერესდა შენით?**

— პირველივე მატჩის შემდეგ სატრანსფერო სააგენტო „ქორთრაიდის“ აგენტი დაინტერესდა ჩემით და პოლონეთის პირველი ლიგის გუნდში გასინჯვაზე წასვლა შემომთავაზა. უარი არ მითქვამს და, ალბათ, აგვისტოში პოლონეთში გავემგზავრები.

— **პირადი აგენტი თუ გყავს?**

— გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ სომხური წარმოშობის ამერიკელმა აგენტმა სევაკ მაჯარიანმა „ქორთრაიდის“ ერევნის წარმომადგენლობაში მიხმო და კონტრაქტი გამიფორმა. იქვე მითხრა, რომ მეორე ბუნდესლიგის გუნდის ვარიანტია და შესაძლებელია, გერმანიაში მოგიწიოს წასვლამო. ერთი სიტყვით, აგენტისგან ალბათ მალე მივიღებ კონკრეტულ შემოთავაზებას.

— **თუ უცხოურ კლუბში ვერ მოეწყე, სად ითამაშებ?**

— ერთადერთი ქართული გუნდი, რომელშიც მომავალ სეზონში ვითამაშებ, დინამოა“. თუ უცხოეთში ვერ წაველი, ჩემს ძველ გუნდში დავრჩები.

ირაკლი ბერტაია

სუმო

კოკაი პირად რეკორდს მიუახლოვდა



კატიკოსგანაღდებულმა კოკაიმ გუშინ კიდევ ერთი, რიგით მეცხრე გამარჯვება მოიპოვა და სასექტემბრო რეიტინგში კიდევ უფრო მაღლა აწევა დაიბევა. დასავლეთის მეხუთე მაეგაშირად წოდებული ქართველი ალბათ სულ მცირე, მეორე მაეგაშირა გახდება, თუმცა მიმდინარე ბაშოს ფინიშამდე კიდევ ორი ტური რჩება და „შავ ზღვას" ხუთქულიანი დადებითი ბალანსის გაზრდის შანსი აქვს. თუ ორივე მოიგო, ეგებ კომუსუბობასაც გამოჰკრას ხელი.

აქამდე ყველაზე მაღლა ჩვენებური მაშინ იდგა — დასავლეთის პირველი მაეგაშირა რომ იყო. ბაშოზე კი ყველაზე მეტი — 10 ქულა დაუგროვებია.

გუშინ კოკაიმ სეკივაკე კოტომიცუკი გადაუძახა ხალიჩიდან. დღეს მისი მეტოქე გაცილებით ძლიერი და გამოცდილი — ოძეკი ტოჩიაძუმა იქნება.

იმპერატორის თასს კი პლანეტის უდიდესი სეკიტორი, იოკოძუნა ასასიორუ, ალბათ, დღეს დაიბევებს. ბოლოსწინა ტურში „ცისფერი დრაკონი" მუხლწამოტკივებულ ოძეკი ტიოტაიკაის ხვდება და რა უნდა მოხდეს, ზედიზედ მოპოვებული ცამეტი ლამაზი გამარჯვების შემდეგ ახლა რომ წაიფორხილოს. ამის არავის სჯერა. თვით სუმოს ასოციაციის პრეზიდენტმა ოიაკატა კიტანოუმიმაც კი წინასწარ მიულოცა დიდ მონღოლს მე-17 თასი, ჯერ კიდევ გუშინდელი ბრძოლის გამართვამდე. ამ მისალოცი სიტყვის შემდეგ ასასიორუმ მორიგი ძლიერი მეტოქე — თასის ხუთჯერ მომგები ოძეკი კაიო დასცა.

კიტანოუმის და მიმომხილველთა პროგნოზი რომ არ გამართლდეს, ამით ყველაზე მეტად ოძეკი ხაკუხო და რიგითი მაეგაშირა ტამანოსიმა გაიხარებენ. ამ ორ სეკიტორს თერთმეტ-თერთმეტი ქულა აქვს და ჩემპიონობის თეორიული შანსიც შერჩენია. გაიოკოძუნების კანდიდატ ხაკუხოს ივლისის ბაშოს დაწყებამდე მწვრთნელებმა 13 მოგება დაუსახეს მიზნად. ოცდამეერთე საუკუნის მეორე იოკოძუნად გასახდომად წესით, ეს ბალანსი საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიძლება 21 წლის მონღოლს და მის დამრიგებლებს კოვზი ნაცარში ამ გეგმის შესრულების შემთხვევაშიც ჩაუვარდეთ. ასოციაციის შეფის თქმით, ხაკუხოს მიერ სატურნიროო მოტივაციადაკარგული მეტოქეების ძლევა დიდი ვერაფერი ვაჟკაცობაა.

დღეს ხაკუხო კაიოს დაეჭიდება, ბოლო ტურში კი ასასიორუს.

ოთარ მაღლაკელიძე

წყალბურთი

დღე პირველი: რუმინეთი

დღეს რუმინეთის ქალაქ ორადეაში ევროპის ახალგაზრდა წყალბურთელთა ჩემპიონატი იწყება. შეჯიბრებაში 1987 წელსა და შემდგომ დაბადებული წყალბურთელები გამოდიან. თუმცა, გუნდები ძირითადად მაინც სწორედ 19 წლის წყალბურთელებით არიან დაკომპლექტებული, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს ნაკრებზე. მასში 1987 წელს დაბადებული ექვსი წყალბურთელია, სხვები კი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი არიან, ყველაზე ახალგაზრდა სანდრო რუსიძე კი სულაც თხუთმეტისაა.

ასე რომ, ჩვენი წყალბურთელების საშუალო ასაკი მეტოქეებისას ჩამორჩება.

საქართველოს ნაკრები: სანდრო ნამორაძე, ბექა ქენქაძე, სანდრო რუსიშვილი, ნოდარ რაფავა, ვასილ ლუტიძე, დავით ბაქრაძე, გიორგი ცირეკიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი, დავით ქაჯაია და მათი ლეგიონერი თანაგუნდელები გიორგი ხვედელიანი („მაიაკი"), მიხეილ ბაღათურია („დინამო") და ზურაბ რურუა (ცსკა) ერთ-ერთ უძლიერეს **B** ჯგუფში საფრანგეთის, უნგრეთისა და მასპინძელთა გუნდებთან ერთად მოხვდა. საქართველოს ნაკრებს პირველი და მძიმე ბრძოლა რუმინელებთან ექნებათ. საფრანგეთის ნაკრებიც, რუმინელთა დარად შარშანდელი ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მონაწილეა, ხოლო უნგრეთის გუნდი, სულაც ვერცხლის პრიზიორი.

ჩემპიონატის მონაწილე სხვა გუნდები კიდევ სამ ჯგუფში გაერთიანდნენ. **A** ჯგუფში გამოდიან: სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი და ბრიტანეთი; **C** ჯგუფში არიან პოლონეთი, საბერძნეთი, იტალია და ხორვატია, ხოლო **D** ჯგუფში რუსეთი, გერმანია, ჰოლანდია და ესპანეთი.

ავთანდილ ჭყვიშელი

პლაჟის ფრენბურთი

რუსული პარტია: შამათი დებიუტში

ვუმ და ხუმ გეორ-გია გაგვიხუნეს

„ქართველმა" ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟემ მსოფლიო სერიის სანკტპეტერბურგული ეტაპი გუშინ დილითვე დაასრულეს. ტურნირის პირველ დღეს გეორ გიად მონათლულმა რენატომ და ჟორჟემ წაგება-მოგებას გუშინ ერთი მარცხიც მიაყოლეს და ასპარეზობას გამოეთიშნენ. ჩვენები, რომლებიც მეოცე ნომრად იყვნენ განთესილები, მეთოთხმეტე ნომრებთან, ჩინელებთან ვუსა და ხუსთან სულ რაღაც ნახევარ საათში 0:2 დამარცხდნენ.

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ რენატო და ჟორჟე მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ მაღალ ადგილას 21-ე საფეხურზე არიან. მათი აქამდელი საპრიზო მონაგარი 19 ათას 500 დოლარია.

ველორბოლა

93-ე ტურ დე ფრანსი

2006, 1-23 ივლისი

21 ივლისი. მე-18 ეტაპი. მორზინი — მაკონი. 197 კმ.

1. მატეო ტოსატო (იტალია, ქვიკ სტეპი)	4სთ. 16წთ. 15წმ.
2. კრისტიან მორენი (იტალია, კოფიდისი)	იგივე დრო
3. რონი შოლცი (გერმანია, გეროლშტაინერი)	+2წმ
4. მანუელ კუნზატო (იტალია, ლიქუიგასი)	+47წმ.
5. სებასტიან ინო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი)	+წთ. 3წმ.

საერთო ჩათვლა

1. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	84სთ. 33წთ, 4წმ
2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+12წმ
3. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+30წმ.
4. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+2წთ8 32წმ.
5. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო)	+3წთ. 11წმ.

57 კილომეტრი: წამები და წამება

„ტურ დე ფრანსი" ფინიშისკენ გაგორდა. კიდევ ორი ნასკვიც და „დიდი მარყუჟი" 93-ედ შეიკრება ელისეს მინდვრებზე. ელისეს მინდვრები, შამპანური და პოდიუმი ხვალ იქნება, ხოლო ის, თუ ვინ შედგება პოდიუმზე და ვინ ასწევს შუშხუნა ღვინით შევსებულ ბოკალს პარიზის ქუჩებში, დღეს გაირკვევა ლე კრეზოდან მონტუ ლე მინამდე გაჭიმულ 57 კილომეტრიან გზაზე, რომელზედაც ბოლოსწინა ეტაპი, დაყოფილი სტარტით ინდივიდუალური რბოლა გაიმართება.

ძველი დიადები, უკვდავთა კოჰორტის წარმომადგენლები, „ტურის" ხუთ-ხუთგზის მომგენი ედი მერქსი და ბერნან ინო დარწმუნებულნი არიან, რომ გამარჯვება ფლოიდ ლენდისს დარჩება, ვისაც არ უნდა გაუჭირდეს ესპანელებთან — ოსკარ პერეირო სიოსა და კარლოს სასტრესთან, შესაბამისად 30 და 18 წამი ჩამორჩენის ამოქაჩვა.

მერქსი და ინო, რომელთაც „ტურის" გარდა სხვა არაერთი დიდი რბოლაც მოუგიათ, ასე კი ფიქრობენ და ალბათ, მართლა ასეც არის, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ წლევანდელი „დიდი მარყუჟი" სრულიად არაპროგნოზირებადი შეჯიბრი გამოვიდა ლიდერთა უხშირესი ცვლითა და სენსაციური, სრულიად წარმოუდგენელი შედეგებით. ასე რომ, ნუ გაგვიკვირდება, თუ დღეს ყველაფერი თავდაყირა დადგება, რაც ამ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის, ანუ ესოდენ სანატრელ ყვითელ მაისურას სათავეში მყოფი ორი ესპანელიდან ერთ-ერთი დაეპატრონება.

ფაქტი ერთია — 80-იანი წლების მიწურულის შემდეგ საერთო ჩათვლის მოწინავეთა შორის ასეთი სიმჭიდროვე აღარ ყოფილა. მაშინაც, დღევანდელის არ იყოს, ერთგვარი გარდამავალი პერიოდი იყო — ინო წავიდა და გათავისუფლებული ტახტის დასაკავებლად ფიცხელი ომი რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. 1987-ში იმ წელს ერთგვარი ველოჰეთ-თრიკის („ჯირო", „ტური", მსოფლიოს ჩემპიონატი) გამკეთებელმა ირლანდიელმა სტივ როშმა სულ ბოლო დალმართში მოუგო უძვირფასესი წამები ესპანელ პედრო დელგადოს, ვისი ტრიუფმის ჟამიც ერთი წლის შემდეგ დადგა. 1989 წელს კი მთლად დღევანდელი სიტუაცია იყო, ოღონდ მაშინ ინდივიდუალური რბოლა ბოლო დღეს ტარდებოდა და თავისი მესამე ტრიუმფისკენ მიმავალი ლორან ფინიონი, ვისაც 1983-84 წლების შედეგის გამეორება სურდა, 32 წამს უგებდა 1986 წლის ჩემპიონს, ამერიკელ გრეგ ლემონდს და ისე მოხდა, რომ ფრანგთა გულის გასახეთქად, ლემონდმა ბოლო ეტაპზე 40 წამით აჯობა ფინიონს, ანუ საბოლოო ჯამში 8 წამით იმარჯვა.

ახლაც, როდესაც დიადი ლენს არმსტრონგის მიერ გათავისუფლებული ტახტის მემკვიდრეზეა საუბარი, კვლავ წამები წყვეტს ყველაფერს და ვის დარჩება გამარჯვება, ამას დღეს შევიტყობთ.

გუშინ კი, მორზინიდან მაკონამდე დაგებულ 197 კილომეტრიან ასფალტზე ლიდერებმა შეისვენეს, სული მოითქვეს და თავის გამოჩენის საშუალება უსახელო ხალხს მისცეს. გაქცევის მცდელობა უამრავი იყო და რამდენიმე მათგანი წარმატებით დასრულდა კიდეც: ბოლო კილომეტრებზე წინ სამნი დარჩნენ — გერმანელი რონი შოლცი და იტალიელები კრისტიან მორენი და მატეო ტოსატო. ამ სამეულში ფავორიტად მორენი მიიჩნეოდა, მაგრამ ტოსატომ ტაქტიკურად ბრწყინვალედ წარმართა საფინიშო ბრძოლა და კარიერაში უდიდესი გამარჯვებაც მოიპოვა.

პელეტონი 8 წუთის შემდეგ მივიდა ფინიშთან, ოღონდ ერთი მაინც სათქმელია — ძირითადი ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო, ამათ შორის სხვაობა ბევრი არა, მხოლოდ 3 წამი იყო და საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე მყოფი ანდრეას კლოდენი, ვინც სწორედ მეორე ეშელონში მოჰყვა, კიდევ სამი წამით ჩამორჩა პერეირო სიოს, სასტრესა და ლენდისს.

გია მუჯირი

კრივი

ევროპის ჩემპიონატი. პლოვდივი. ბულგარეთი. 14-24 ივლისი

ერთი ბრინჯაო და მორჩა

მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე ფინალებიღა დარჩა ჩასატარებელი. საქართველოს ნაკრებისთვის კი პირველობა გუშინ დასრულდა. ოქროსთვის ბრძოლას ნახევარფინალს შერჩენილი ერთადერთი ჩვენებური, კახაბერ ჟვანიაც (69კგ) გამოეთიშა, მასპინძელ სპას გენოვთან თანაბრად იჩხუბა და გუშინ ჩატარებულ 22 შეხვედრაში ყველაზე საბრძოლო ანგარიშით — 19:26 დამარცხდა.

ჟვანია პლოვდივიდან ბრინჯაოს მედლით ბრუნდება, რომელიც ერთადერთია ქართული დელეგაციისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი როსოუ: ავსტრალია ჯადოა, ზელანდია მაგარი

დღეს სამი ერის მესამე ტურის მაგარი ჯახია. რაგინდარა ტურნირის მარადმწვანე ფავორიტი ახალი ზელანდია გავერანებულ სამხრეთ აფრიკას მასპინძლობს. გასული უქმეებზე სამხრეთ აფრიკა ავსტრალიასთან მაგრად შერცხვა, აქამდე არნახული სხვაობით 0:49 წააგო და ზელანდიაში ნირწამხდარი ჩავიდა. ავსტრალიასთან ძირითად შემადგენლობაში იყო სამხრეთაფრიკელთა ვარსკვლავი დენი როსოუ, ვინც ორი წლის წინ პრეტორიის „ბლუ ბულზს" ახლდა თბილისურ ტურნეზე. როსოუს და დანარჩენ ბულზელებს მაშინ დავუმეგობრდით. სამხრეთაფრიკელთა მესამეხაზელს სამშობლოში დავუკავშირდით და ავსტრალიური კატასტროფის მიზეზებსა და სადღეისო მატჩზე ვკითხეთ

— ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით სამ ერზე არასდროს წაგიგიათ. რა იყო ამის მიზეზი?

— ძნელია, ერთი ან ორი კონკრეტული მიზეზი მოიტანო. თითქოს ჯადო გვქონდა გაკეთებული. ვერაფერი ვერ გავაკეთეთ. ავსტრალიამ ისე დაიწყო მატჩი და ისე დაასრულა, რომ, რა ხდებოდა, აზრზეც ვერ მოვედით. სრული კოშმარი იყო. წაგება წაგებად და მეც მაგრად დავშავდი. არადა, ძალიან მინდოდა, ახალ ზელანდიასთანაც მეთამაშა.

— ტრავმა სერიოზულია?

— ორი კვირა ვერ ვითამაშებ. ერთი კვირა, ალბათ, აღდგენით პროცედურებს დასჭირდება. გამოდის, რომ მთელი მეორე წრე გამიცდება.

— ავსტრალიასთან განადგურების შემდეგ, ახალ ზელანდიასთან უშანსოდ იქნებით...

— არც მასეა საქმე, თუმცა, ვფიქრობ, „ოლ ბლექსი" სამი ერის უპირობო ფავორიტია. ეს ისეთი გუნდია, რომელშიც ყოველ პოზიციაზე ორი სრულფასოვანი მორაგბეა. თან შერკინებაშიც და უკანა ხაზშიც უნივერსალური მოთამაშეები ჰყავთ, რაც საშუალებას აძლევთ, თამაშისას ერთი ტაქტიკიდან მეორეზე გადაეწყონ და მეტოქეს თავგზა აუბნიონ.

— მიგაჩნიათ, რომ დღესდღეობით ახალი ზელანდია საუკეთესოა?

— ალბათ, ასეა... მართლა ძლიერები არიან. თუ დღევანდელი დღით ვიმსჯელებთ, საგაისო მსოფლიოს თასის უპირობო ფავორიტი, სწორედ, ახალი ზელანდიაა.

— სამხრეთ აფრიკა?

— რა თქმა უნდა, ჩვენ, ავსტრალია და საფრანგეთი თასის მოგების კანდიდატები ვართ, მაგრამ ხომ გეუბნებით, „ოლ ბლექსი" არანორმალურად ძლიერია. ამასთან, ევროპულ გუნდებს კრიზისი აქვთ. აგერ, ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის აჩრდილიღაა, ირლანდია არ არის დიდი გამარჯვებისთვის მზად, უელსს და შოტლანდიას კი კლასი არ ეყოფათ მსოფლიოს თასის მოსაგებად. ვფიქრობ, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ სამ ერში უნდა ვეძებოთ. ერთადერთი ევროპული ნაკრები, ვინც ჩვენ, სამხრეთელებს წინააღმდეგობას გაგვიწევს, საფრანგეთი იქნება. ეს არის დაბალანსებული, მაღალი კლასის კრებული, თან ტურნირის მასპინძელი. ეს ფაქტორი კი ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია.

— რომელი გუნდი შეიძლება გახდეს საგაისო მსოფლიოს თასის აღმოჩენა?

— ძნელია ასე უცბად თქმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რაგბი ლოგიკური თამაშია, ალბათ, დიდი სენსაციები არც მოხდება. ვერ ვიტყვი, რომ აღმოჩენა ან სენსაცია იქნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ წინა ჩემპიონატებთან შედარებით, არგენტინა და სამოა უფრო შორს წავლენ. ამ გუნდებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ელიტის ღირსები არიან. მათი კარგი შედეგი სენსაცია ვერ იქნება. არგენტინა სამ ერს უნდა დამატებოდა და ტურნირი ოთხ ერად გადაკეთებულიყო, მაგრამ მერე ფორმატი აღარ შეიცვალა. სამოას თამაში კი წყნარი ოკეანის ხუთ ერზე ვნახე. მათი პროგრესი აშკარაა.

— ერთიც, ვინ მიგაჩნიათ დღეს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ?

— ახალი ზელანდიის მეათე ნომერი დენი კარტერი. „ოლ ბლექსი" ხომ გუნდი ვარსკვლავია და კარტერი იქცა ყველას ერთი თავით მაღლა სჯობს.

ბაჩო სვანიძე

შარშანწინ დენი როსოუმ საქართველოში ლუდის სმის კონკურსიც მოიგო

კრეიგ მაკტავიში ისევ „ედმონტონს" უთავკაცებს

ბებერი არწივი აღარავის უნდა

ნაციონალურ ჰოკეის ლიგაში სატრანსფერო ციებ-ცხელება თანდათანობით ჩაცხრა, მაგრამ დღე არ გავა, ოკეანისგაღმეთიდან ერთი-ორი ახალი ამბავი მაინც არ მოვიდეს.

სტენლის თასის ფინალისტმა, „ედმონტონმა" ამ ორ თვეში რამდენიმე ლიდერი: მცველები — კრის პრონგერი და იაროსლავ შპაჩეკი და ფორვარდი მაიკლ პეკა კი დაკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, მწვრთნელის შენარჩუნება შეძლო. „მენავთობეებმა" თავისი შარშანდელი წინსვლის, ალბათ უმთავრეს შემოქმედს კრეიგ მაკტავიშს ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს.

მაკტავიშს „მენავთობეებში" კარიერის დიდი ნაწილიც აქვს გატარებული და ისეთი ლეგენდების გვერდით უთამაშია, როგორებიც უეინ გრეცკი, მარკ მესიე, იარი კური და სხვები იყვნენ. მწვრთნელად კი კანადურ გუნდში მაქტავიში 2000 წლიდანაა და ამ სეზონამდე პლეი ოფის პირველ წრეს არასოდეს გასცდენია. თუმც ახლახანს „მენავთობეებმა" სტენლის თასი მხოლოდ მეშვიდე, გადამწყვეტ შეხვედრაში დაუთმეს კაროლინას.

„პიტსბურგი" კი ნელ-ნელა ცდილობს მოძლიერებას. „პინგვინებმა" სან ხოსედან მარცხენაფლანგელი ნილს ეკმანი გადმოიყვანეს, „ზვიგენებს" კი მომდევნო დრაფტზე მეორე რაუნდის არჩევანი დაუთმეს. 30 წლის ეკმანი ახალ გუნდში ალბათ პირველ სამეულში, სიდნი კროსბისთან ითამაშებს — შვედმა შარშან კარიერის საუკეთესო სეზონი ჩაატარა და 57 ქულა (21 ბოლო 36 პასი) დააგროვა. ისე, ეკმანის პროგრესი სან ხოსეში მისული ჯო ტორნტონის დიდი დამსახურება იყო. ვნახოთ, კროსბის გვერდით შვედი რამდენად გაიბრწყინებს.

„ატლანტამ" „დალასიდან" წამოყვანილ ცენტრ ნიკო კაპანენს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომლის განმავლობაშიც ფინელი 1,7 მილიონს ჩაიჯიბავს.

„ანაჰაიმმა" ასევე ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა მარცხენაფლანგელ კრის კუნიცს, რომელიც გუნდის ისტორიაში საუკეთესო ახალბედა აღმოჩნდა. კუნიცმა შარშან 19 გოლი და 22 საგოლე პასი გააკეთა და თავი არც პლეი ოფში შეურცხვენია.

წლეულს, ძირითადად ევროპული ლიგებიდან ნჰლ-ში ბრუნდებიან, მაგრამ ისეთიც გამოჩნდა, ვინც საპირისპირო მარშრუტი არჩია. ეს მისია თავის თავზე ნიკოლაი ჟერდევმა აიღო, რომელმაც რუსულ „ხიმკისთან" გააფორმა კონტრაქტი.

თუმც როგორც ჟერდევის აგენტი ირწმუნება, ეს ყველაფერი ჰოკეისტსა და მის გუნდ „კოლუმბუსს" შორის უთანხმოების ბრალი ყოფილა. „ხიმკისთან" კი მოთამაშეს ეგრეთ წოდებული სადაზღვევო კონტრაქტი გაუფორმებია — თუ ჟერდევი „კოლუმბუსს" შეუთანხმდა, მაშინ ის ისევ ნჰლ-ში ითამაშებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სეზონს რუსეთში დაიწყებს.

გრძელდება ედ ბელფურთან დაკავშირებული საგა. „დეტროიტის" შემდეგ 41 წლის ვეტერანის სამსახურზე უარი „ფლორიდამაც" განაცხადა. არადა, ყველა ფიქრობდა, რომ ბელფური მაიამურ გუნდთან კონტრაქტს დღე-დღეზე გააფორმებდა. თუმც „პანტერხის" ხელმძღვანელობამ უეცრად აზრი შეიცვალა და „არწივსაც" კვლავ მოუწევს ახალი ნავსაყუდელის ძებნა.

ტორონტოს ახალმა მწვრთნელმა პოლ მორისმა კი თავისი შტაბი საბოლოოდ დააკომპლექტა და კვლავაც ძველ ნაცნობებს უხმო, რომლებთანაც „კაროლინაში" უმუშავია. მოკლედ, მორისს გუნდის გაწვრთნაში რენდი ლადოსერი და დალას იკინსი დაეხმარებიან. ერთადერთი, ვისაც მორისთან არ უმუშავია, კეიტ არტონია, მაგრამ ეს უკანასკნელი „ტორონტოში" უკვე შვიდი წელია მეორე მწვრთნელად მუშაობს და მორისმაც მისი დატოვება არჩია.

ბაჩა ლომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დევისის თასი. ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფი

გდანსკი, პოლონეთი. 21-23 ივლისი

პოლონეთი 1:1 საქართველო

მიხალ პრზისეჟნი 0:1 ირაკლი ლაბაძე
6:3 3:6 4:6 4:6

ლუკაშ კუბოტი 1:1 ლადო ჩიხლაძე
7:5 6:4 6:2

ირაკლი ლაბაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

სუბორდინაცია დაცულია

სტუმრებმა და მასპინძლებმა პირველ-მეორეობა დაადასტურეს

პოლონეთის ზღვისპირა ქალაქ გდანსკში, იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ქართველმა ხელბურთელებმა სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავეს, ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის სადევისთასო მატჩი გახურდა და პირველი დღის შემდეგ ჩვენი ნაკრები მასპინძლებისას 1:1 გაეყარა.

სუბორდინაცია დაცულია — ქართველთა პირველმა ნომერმა ირაკლი ლაბაძემ პოლონელების მეორე ჩოგანი მიხალ პრზისეჟნი დაჯაბნა, ხოლო მასპინძლების ლიდერმა ლუკაშ კუბოტმა ჩვენს მეორე ნომერს ლადო ჩიხლაძეს მოუგო.

ლაბაძემ ATP-ის რეიტინგში 352-ე ადგილზე მყოფ პრისეჟნის, ვისაც აქამდე 4 სადევისთასო მატჩიდან 3 მოეგო, პირველი სეტი კი დაუთმო, მაგრამ შემდეგ ARKA-ს საჩოგბურთო კლუბის თიხნარზე ქართველი გაბატონდა და დამაჯერებლადაც იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო 25 წლის ლაბაძის მიერ ჩატარებული მე-13 სადევისთასო მატჩი ერთეულთა შორის და ამ 13 შეხვედრაში ირაკლიმ მე-12 გამარჯვება მოიპოვა.

დადებითი სადევისთასო ბალანსი აქვს პოლონელთა პირველ ჩოგანს ლუკაშ კუბოტსაც, ვინც ATP-ის მიმდინარე კლასიფიკაციაში ლაბაძეზე ოდნავ წინ იმყოფება. კუბოტს 20 სანაკრებო მატჩიდან 16 ჰქონდა მოგებული და აქედან 11 გამარჯვება 4 მარცხის წილ ერთეულთა თანრიგში. გუშინ კუბოტს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, მერე კი იოლად აჯობა ლადო ჩიხლაძეს, ვისი სადევისთასო ბალანსიც, ამ მატჩის შემდეგ, ერთეულთა შორის 3 მოგებაა 5 მარცხის წილ.

დღეს გდანსკში წყვილთა შეხვედრაა — ლაბაძისა და ჩიხლაძის დუეტი მარიუშ ფირსტენბერგსა და მარსინ მატკოვსკის დაუპირისპირდება. ეს გადამწყვეტი დუელი იქნება და ჩვენ, კვლავაც ლაბაძის ბრწყინვალე სადევისთასო ბალანსის იმედი უნდა ვიქონიოთ — ირაკლი სანაკრებო დონეზე, წყვილთა შორისაც მხოლოდ ერთხელ არის დამარცხებული.

ყველაფერი კი მაინც ხვალ გაირკვევა, როდესაც კორტზე, ჯერ პირველი ნომრები — კუბოტი და ლაბაძე გავლენ და შემდეგ — პრზისეჟნი და ჩიხლაძე.

ამასობაში, ფაქტობრივად, ყველაფერი გაირკვა ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის კიდევ ერთ დაპირისპირებაში. უნგრელებმა კორნელ ბარდოცკიმ და სებო კიშმა სტუმრად, ბულგარეთში, ორივე მატჩი მოუგეს, შესაბამისად ილია კუშევსა და ივაილო ტრავკოვს და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, ბულგარელებმა თამაშის ბედის შემოტრიალება რომ მოახერხონ. ეს მატჩი კი ჩვენ იმიტომ გვაინტერესებს, რომ პოლონელებთან გამარჯვების შემთხვევაში, სწორედ ბულგარეთ — უნგრეთს შორის საუკეთესოს უნდა შეეცილოთ ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის საგზურს.

გია მუჯირი

სერენა ახლომხედველია

ენდი როდიკი

AFP ინდიანაპოლისიდან

კაცები
შტუტგარტი
გერმანია თიხნარი
საპრიზო 586 250 €

მესამე წრე

ლუის ჰორნა (13, პერუ) — **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) 6:3 6:7 6:4; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) 6:4 6:7 6:4; **ოლივიე მარახი** (ავსტრია) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:4 6:4; **ხოსე აკასუსო** (5, არგენტინა) — **სიმონ გროილი** (გერმანია) 7:6 2:6 6:4; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — **ხუან-მარტინ დელ პორტო** (არგენტინა) 6:1 6:0; **დავიდ ფერერი** (3, ესპანეთი) — **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) 6:3 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (2, ჩეხეთი) — **დიეგო ხუნქუეირა** (არგენტინა) 6:1 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — **დიეგო ჰარტფილდი** (არგენტინა) 7:6 6:2

კაცები
ინდიანაპოლისი
აშშ. ჰარდი
საპრიზო 575 000 $

მესამე წრე

ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — **ვესლი ვაიტჰაუსი** (სამხრეთ აფრიკა) 6:7 6:3 6:4; **ნიკოლა მაჰუ** (10, საფრანგეთი) — **ტომი ჰაასი** (5, გერმანია) 6:4 7:5; **ფერნანდო გონსალესი** (3, ჩილე) — **ვინსენტ სპადეა** (14, აშშ) 6:4 7:6; **ძსავიე მალისი** (9, ბელგია) — **დმიტრი ტურსუნოვი** (7, რუსეთი) 7:6 3:6 6:3; **პარადორნ შრიჩაპანი** (8, ტაილანდი) — **პოლ გოლდსტინი** (11, აშშ) 5:7 6:2 6:1; **როგი ჯინეპრი** (4, აშშ) — **იგორ კუნიცინი** (15, რუსეთი) 6:2 6:7 6:1; **ჟილ მიულერი** (12, ლუქსემბურგი) — **კენეტ კარლსენი** (დანია) 6:1 6:2; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **ჯეფ მორისონი** (აშშ) 7:6 7:5

კაცები
ამერსფოორტი. ჰოლანდია. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

მეორე წრე

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) 6:4 6:2; **მარკ გიკუელი** (საფრანგეთი) — **ტიემო დე ბაკერი** (ჰოლანდია) 4:6 6:3 6:2

ქალები
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

მეორე წრე

სერენა უილიამსი (აშშ) — **ბეტანი მატეკი** (აშშ) 6:3 6:1; **გიზელა დულკო** (8, არგენტინა) — **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) 7:5 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (5, სერბეთი) — **კარლი გულიკსონი** (აშშ) 6:4 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — **ვარვარა ლეპშენკო** (უზბეკეთი) — 6:0 6:2; **მარიონ ბარტოლი** (6, საფრანგეთი) — **ვასილა ბარდინა** (რუსეთი) 6:2 2:6 6:3; **მენგ იუანი** (ჩინეთი) — **მარიანა დიასოლივა** (არგენტინა) 6:3 7:5

ქალები
პალერმო. იტალია
თიხნარი
საპრიზო 145 000 $

მეორე წრე

ჟულია გრუფი (გერმანია) — **რომინა ოპრანდი** (იტალია) *(უარი)*; **ხოსე მარტინესი** (ესპანეთი) — **ლურდეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი) 6:7 6:1 6:2; **ლუსი შაფაროვა** (4, ჩეხეთი) — **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) 7:5 4:6 7:5; **კარინ ქნაპი** (იტალია) — **ივეტა ბენეშოვა** (7, ჩეხეთი) 6:4 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) — **ანასტასია იაკიმოვა** (ბელორუსია) 6:1 2:6 6:0

აფრიკული „თეთრი სახლის" (ვაითჰაუსი ასე ითარგმნება) ზეობას ინდიანაპოლისში ჯეიმს ბლეიკმა მოუღო ბოლო. კვირის მთავარი სენსაცია, სამხრეთაფრიკელი ვაითჰაუსი ამ შეხვედრაშიც კარგად გამოიყურებოდა, ბევრიც იომა, მაგრამ მსოფლიოს მეექვსე ჩოგანთან ვერაფერს გახდა.

ბლეიკმა კი გადამწყვეტ სეტში კინაღამ ხელიდან გაუშვა 5:2 უპირატესობა და მეტოქეს მოახლოების საშუალება მისცა. თუმცა ჯეიმსი დროზე მოეგო გონს და აღარ გააჯანჯლა მეოთხედფინალში გასვლა.

ბლეიკის გარდა მესამე წრე კიდევ ორმა ამერიკელმა დაძლია, მაგრამ ენდი როდიკსაც და მოქმედ ჩემპიონ რობი ჯინეპრისაც გვარიანი ოფლისღვრა მოუწიათ.

მთავარმა ამერიკელმა არტილერისტმა ამჯერად თავისთვის ჩვეულად ვერ იქნია ჩოგანი მოწოდებაზე და ვისებიც მეტოქეზე ნაკლები ჩაგდო. სამაგიეროდ, როდიკმა ყველა შანსი ბოლომდე გამოიყენა და მეოთხედფინალშიც გავიდა. აი, ჯინეპრი კი რუსმა კუნიცინმა აწვალა, თუმც იანკი აქაც უფრო იღბლიანი გამოდგა.

ნამეტანი ტრადიციის მოყვარულია ეს ტომი ჰაასი — უკვე რამდენიმე წელია, რაც ერთი-ორჯერ გაიბრწყინებს და მერე ყველგან ადრეულ ეტაპებზევე ტოვებს ტურნირებს. გერმანელმა არც ახლა დაუშვა გამონაკლისი და ნიკოლა მაჰუს რიგიანად ვერც ებრძოლა.

სამაგიეროდ, შტუტგარტში დაისადგურა სიწყნარემ, სადაც ფავორიტებმა რაიმე სერიოზული დანაკლისის გარეშე განვლეს მესამე წრე.

კარგად გამოიყურება ტომაშ ბერდიხი. ახალგაზრდა ჩეხს მხარი კი აწუხებს და გამუდმებითაც ამაზე წუწუნებს, მაგრამ ჯერჯერობით წინ დამაჯერებლად მიიწევს. სლავს ამჯერად საიდანღაც გამომტყვრალი და სენსაციურად ორწრე განვლილი დიეგო ხუნქუერა შემოეჩოგნა, პირველი სეტი კი საერთოდ ნახევარ საათში მოუგო.

მეორე უცნობი, მაგრამ ასევე მესამე წრემდე მისული არგენტინელი დიეგო ჰარტფილდი კი ნიკოლას ლაპენტიმ შეიწირა და ბერდიხთან ბაემანიც დაიმსახურა.

მასპინძლებს მხოლოდ ფლორიან მაიერის იმედიღა შემორჩათ, რომელმაც კიდევ ერთ პატაგონიელ დელ პორტოს მხოლოდ კინკილა გეიმი ააღებინა და სულ რაღაც 48 წუთში მოუგო.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტებზე მობრუნებულმა სერენა უილიამსმა ზედიზედ მეორედ იმარჯვა და კვლავაც უპრობლემოდ. ამჯერად პატარა (ასაკით, მაგრამ არა გაბარიტებით) უილიამსმა თანამემამულე ბეტანი მატეკი შეიწირა. ნამატჩევს კი სერენა ენად გაიკრიფა!

„მხოლოდ ერთ, მომავალ მატჩზე ვფიქრობ ხოლმე. შორს მიმავალი გეგმები ნამდვილად არ მაქვს, ჯერ ფორმა უნდა აღვიდგინო, რაღაც სასწაულს არ ველი ჩემი თავისგან, მაგრამ არც მალევე წაგება მინდა. ჩემი საფიქრალი ახლა მხოლოდ მომდევნო მატჩია, მერე ისევ მომდევნო, კიდევ მომდევნო და ასე შემდეგ".

ისე კი სერენა მარტო ერთ რამეზე ღელავს — რეიტინგში თავისი პოზიციიდან გამომდინარე, აშშ-ს ღია პირველობაზე ვერ ხვდება და ამიტომ ახლავ ითხოვს ორგანიზატორებისგან, ეგებ ეგრეთ წოდებული ვილდქარდი ანუ მოწვევა მომცეთო. მისცემენ კიდეც.

ქაჯა ლომაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნინობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფრაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00